

# ნიჭიერების საქართველო

ლიტერატურული საქართველო \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

2 ივლისი - 2021წ. №17 (4016) გამოცემის 90-ე წელი ფასი 1 ლარი

## გმადლობთ, რომ იყავი!



თუ არშინით ვერ გაზომავდი მის ნიჭსა და ადამიანობას.

ის იყო და დარჩა ქართულ კულტურაში და იყო კულტურა მასში, როგორც შემოქმედება, როგორც სულიერი სიმამაცე, როგორც თავისუფლების სულისკვეთება.

თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გვიჩვენა, თუ რამდენი შეუძლია ხელოვნებას, როცა ის თავისუფალია, როცა მას თავისუფალი პიროვნება ქმნის.

ზურაბ ნიუარაძემ გვიჩვენა, რომ მხატვრობა არ არის განყენებული საქმე; რომ ის ცხოვრების სუვერენული ნაწილია და არსებობს იმისათვის, რათა ადამიანს აგრძნობინოს არსებობის მშვენიერება, სიცოცხლის ფასი, ამქვეყნად ყოფნის ფუნქცია.

როგორც უტყუარი ნიმუში ნიჭიერებისა, თავისუფლებისა, თავმდაბლობისა და მაღალი ღირსებისა, ის იქცა ცოცხალ სიმბოლოდ თავისი დროისა, ეპოქისა, ქართული ფერწერისა, საერთოდ, კულტურისა და რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, განვლილი ათეული წლების განმავლობაში რამდენჯერ გვითქვამს გულში აღფრთოვანებით: „გმადლობ, პიკო, რომ ამქვეყნად არსებობ!“

მოვიდა დრო, როცა ის აღარ არის. მაგრამ ქართული კულტურის ისტორიას ხომ დარჩება დრო, როდესაც ის იყო – დიდი მხატვარი, სანიმუშო მოქალაქე, გულისხმიერი მოყვასი.

ის ყველას იყო, როგორც სიყვარულის ობიექტი, ყველას ეკუთვნოდა ისე, რომ არავისი არ იყო, არც ერთი ჯგუფისა და არც რა ინტერესებისა.

მისი თვისება – სიცოცხლე, გამოხატული სიხალისისა და სიხალასის ფორმით.

პიკო იყო ის შემოქმედი, რომელიც შორს ხედდა, სიღრმეებს გრძნობდა და სივრცეებს ავსებდა.

ისე ვერ მიუდგებოდი, როგორც ყველას. საერ-

ბუბაზ მებრალიძე

ცხინვალის თეატრს საკუთარი შენობა აქვს. ამ დღეს წლობით ელოდა როგორც დასი, ისე მთელი საზოგადოებრიობა. ამ ხნის მანძილზე თეატრი მართლაც ლტოლვილი იყო – პოლიტიკურად და შემოქმედებითადაც. 1991 წლის იანვრიდან თეატრმა თბილისში დაიწყო მუშაობა. ამ ხნის მანძილზე რამდენიმე შენობა გამოიცვალა: პოლიტგანათლების მუშაკთა სახლი (3 წელი), მოზარდმაყურებელთა თეატრი (5 წელი), რკინიგზელთა სახლი (თითქმის 20 წელი), რუსთაველის თეატრის მცირე სცენა (2015 წლიდან დღემდე), იყო ქუჩის აქციებიც, მაგრამ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება არ შეუწყვეტია. ამიერიდან თეატრს აღარ მოუწევს სხვადასხვა სცენაზე გამოსვლა, ვინაიდან ხელისუფლებამ, როგორც იქნა,



## ცხინვალის თეატრის ახალი სივრცე

ლტოლვილობიდან 30-ე წლისთავის „საიუბილეოდ“ გადასცა პეტრიაშვილის ქუჩაზე არსებული სპორტული დარბაზი (3000 კვ.მ. მეტი), სადაც სპორტული ფინი და შემოქმედებითი აღმადგენელი ერთმანეთს შეერწყმება.

ეს გახლავთ საკმაოდ დიდი ფართი, რომელსაც სოლიდური რემონტი და თეატრისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა, ტექნიკით აღჭურვა სჭირდება. მანამდე, კი მთელმა დასმა დიდი ენთუზიაზმით მოაწყო გარე სივრცე და თეატრალურ სეზონს იქ წარმართავს. თეატრის ბიუჯეტი 477.000 ლარს შეადგენს, რაც აუცილებლად უნდა გაიზარდოს. 60-კაციანი კოლექტივში 38 მსახიობია 600-ლარიანი საშუალო ხელფასით.

შენობის ეზოში მოწყობილ იმპროვიზებულ სცენაზე სპექტაკლი „ჯაყოს“ (მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით) გაიმართა. მართალია, იგი წლების წინათ დაიდგა (პრემიერა ბათუმში 2014 წელს შედგა), მაგრამ ამჯერად თბილისური პრემიერის მნიშვნელობა შეიძინა. სპექტაკლი ასახავს მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, პატრიოტულ სულისკვეთებას, რაც თეატრმა საკუთარ თავზე გამოსცადა. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება გასული საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარეობს, სპექტაკლი თანადროულად

ჟღერს, ვინაიდან პრობლემა არ შეცვლილა და თემაც აქტუალობას არ კარგავს. ამდენად, თეატრი საკუთარ პოზიციასაც გვიჩვენებს და ნაწარმოების ახლებურ, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ დატვირთვაზე აქცენტირებულ ვერსიას გვთავაზობს.

მაყურებლის საზეიმო განწყობას ისიც განაპირობებდა, რომ დამსწრე საზოგადოებას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გოჩა კაპანაძემ მიმართა, მადლობა გადაიხადა შენობის გადაცემისთვის და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი გეგეჭკორმა მერაბ ელიოზიშვილის სახელობის ჯილდო გადასცა თეატრის დირექტორს, ზაზა თედიაშვილს, და თეატრის გახსნასთან ერთად დაბადების დღეც მიულოცა.

სპექტაკლის პროგრამაზე იკითხება მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები: „ჯაყოს“ 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვენერდი. ენერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვავა ჩემი სულის...“ სწორედ ამ განცდის მოტანა სურს რეჟისორ გოჩა კაპანაძეს თანამედროვე სა-



ვინ იყო ილიას მუზა?	ჩვენი დაბიუტანტი	ნიგინდან „ოქტომბერი“	ისტორიის გაკვეთილები	შალვა ხიდაშელი - 110
ანდრო პაღუკაძის ნაწილი	ოლანი პინაქი	ირმა შიოლაშვილი	ზურაბ თორიას ნაწილი	მიხაილ მახარაძის ნაწილი
83.3	83.6-7	83.8	83.9	83.10

საქართველოს კალაპატიძის  
ბიბლიოთეკის  
ბათუმის  
ბიბლიოთეკა

# ფერწერის გაეხსნა

## ზურაბ (პიპო) ნიჟარაძე



საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მხატვარი, ქართველ „50-იანელთა“ შესანიშნავი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ზურაბ (პიპო) ნიჟარაძე.

ზურაბ ნიჟარაძემ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაიმკვიდრა არაჩვეულებ-

რივი ფერმწერის სახელი, რომელიც ერთნაირი შემართებითა და ბრწყინვალე ტექნიკური მანერით ქმნიდა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამორჩეულ ხელოვნებას.

ზურაბ ნიჟარაძეს ხელწიფებოდა როგორც პოეტური, რომანტიკული ხასიათის ფერწერული კომპოზიციების, ისე ძლიერი ნებისყოფის პიროვნებათა განსხვავებული ხასიათების ფსიქოლოგიური გახსნა; რთული მხატვრული ამოცანების ძალდაუტანებელი სიმსუბუქით გადაჭრა ნატურმოტივისა თუ პეიზაჟის, შიშველი ნიუსა თუ ზღაპრულ-მიტოსური ხასიათის კომპოზიციებში.

იგი, ამავდროულად, იყო მრავალი ფილმისა თუ სპექტაკლის მხატვრული გამფორმებელი და ნიგნის შესანიშნავი ილუსტრატორი, ამ მხრივ განსაკუთრებულია მის მიერ შექსპირის ნაწარმოებებისთვის შექმნილი ილუსტრაციები.

ზურაბ ნიჟარაძემ დიდი ღვაწლი დასდო ახალგაზრდა მხატვართა აღზრდის საქმეს,

როგორც თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის პროფესორმა და როგორც რექტორმა (1982-1987 წ.წ.).

ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედება ფართოდ გასცდა საქართველოს ფარგლებს როგორც ჯგუფური და პერსონალური გამოფენებით, ისე უცხოეთის სახელმწიფო და კერძო კოლექციებში დაცული მისი მრავალრიცხოვანი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით.

ზურაბ ნიჟარაძის ღვაწლი არაერთი პრემიითა და ჯილდოთ დაფასდა. იგი იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, 2005 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო 2009 წელს მიენიჭა ეროვნული პრემია.

საქართველოს მხატვართა კავშირი სამძიმარს უცხადებს ზურაბ ნიჟარაძის ოჯახს და სრულიად საქართველოს ფერწერის მანერას, ზურაბ ნიჟარაძის გარდაცვალების გამო. საქართველოს მხატვართა კავშირი

# „წმინდა ნინოს ჯვარი“

## ქრისტიანული პოეზიის XI ფესტივალი

29 ივნისს მწერალთა სახლში ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის XI ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ლონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ლია დაუშვილმა.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა ლერი ალიმონაკი.

ქართული ლიტერატურისა და უზრუნველყოფის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა ნინო ქუთათელაძე.

ფესტივალის ჟიურიმ: მამა ილია ჩიკვაძე, ზაალ ბოტკოვური (თავმჯდომარე), ნინო ქუთათელაძე, მაია მიქაია, მარი თაბაგარი

ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა: ელდარ ჭიჭიაშვილი.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალიონი“ დააჯილდოვა: სოფია ქურასხედიანი, ია მერაბიშვილი, სალომე ლომინაძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალი“ დააჯილდოვა: ზადრი სულაძე, ალა დათუკიშვილი, სალომე გოგოლაძე, მკა აბულაძე, ზურაბ ჭიკვაძე, ლელა გაფრინდაშვილი, დარეჯან ხვედელიძე, ზოია გრაფიშვილი, მარი სადღობელაშვილი, ემა მარგანი, მანანა ჩაჩანიძე, ლილა ინაშვილი.

ქრისტიანული პოეზიის XI ფესტივალი გაიმართა თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.



ვაძეს სისრულეში მოუყვანია გადწყვეტილება ხაშურში საბავშვო მუსიკალური ანსამბლის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. და აი, „ტაშისკრობის“ დღესასწაულზე ანსამბლ „მოდახილის“ დებიუტიც შედგა; განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურა ანსამბლის სოლისტმა ირაკლი კოჭორიძემ. ამ ნომრით, როგორც დავით არჩვაძემ აღნიშნა, პატივი მიაგო ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტის, ზურა ბაკურაძის ხსოვნას...

გიორგი სააკაძის ბანერის ფონზე ღირსეულად წარმოჩნდა ოპერის მომღერალი, ქვიშხეთელი და ქვიშხეთის კულტურის სახლის აღზრდილი ლევან ტაბაძაძე.

ლონისძიება გაალამაზა ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებულმა მოცეკვავეთა ანსამბლმა „მთანინდამ“ (ხელმძღვანელები: ალექსანდრე ტაბაძაძე და გიორგი ქალიაშვილი). ასევე, ხაშურში არსებულმა მოცეკვავეთა ანსამბლმა „ფრესკამ“ (ხელმძღვანელი ელენე რატიანი). გოგი შუბითიძის ხალხურ საკრავთა ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

პანდემიისა თუ ყოფითი პრობლემების შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებას ერთმანეთთან გამოთხოვება ეძნელებოდა...

გუგუნებდა მრავალჟამიერი და შრიალებდა ბებერი ნაბლის ხის ფოთლები...

ფეხზე იდგნენ თვალში სხივამდგარი ბავშვები.

არასოდეს დაავიწყდებთ ნახევარას ველზე გაჩაღებული ბრძოლა, გიორგი სააკაძე და ტაშისკარის ნადიმი... არც ეს დღე.

კლარა გელაშვილი  
ტაშისკარი. 27.VI. 2021

# უხვედრა ნახვეზარას ველზე

## „ტაშისკრობა 2021“

27 ივნისს, სოფელ ტაშისკარში სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს ჩოხოსანთა ორგანიზაციის (მეთაური ზვიად სეხნიაშვილი) ეგაღით გაიმართა ტრადიციული დღესასწაული „ტაშისკრობა“, რომელიც 1609 წელს, ქვიშხეთთან, ნახვეზარას ველზე გიორგი სააკაძის სარდლობით მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების 412-ე წლისთავს მიეძღვნა. ეს იყო ყველაზე მასშტაბური დღესასწაული, რაც დღემდე ამ თარიღის აღსანიშნავად გამართულა სოფელ ტაშისკარში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დღესასწაულის დამკვიდრებაში ლომის წილი მიუძღვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ყორანაშვილს. 2009 წლიდან იგი მეგობარ პროფესორებთან ერთად, რომლებსაც ხაშურში ყოველ-

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი მკა დიდებულიძე.

27 ივნისს, დილით, ტაშისკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წირვა აღავლინა მეუფე სვიმეონმა. წირვის შემდეგ იქ მყოფმა საზოგადოებამ იმ ნაბლის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, სადაც ყირიმელთათრებსა და ოსმალთა სამოციანთასიან ურდოზე გამარჯვების შემდგომ გიორგი სააკაძის ლაშქარმა ინადიმა.

საზეიმო კონცერტს ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე მოწვეული სტუმრები: საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოება; ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი და აკადემიის წევრები (კახა ბაციკაძე, სერგი ლომიძე და ეთერ ჭელიძე); შიდა ქართლის მწერალთა რეგიონალური კავშირის თავმჯდომარე დავით ახლოური; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან კურტანიძე; „სტუდია გუთნის“ დამაარსებელი, ისტორიკოსი ლექსო გელაშვილი. ასევე სტუმრები შიდა ქართლის დეპუტატის ბიუროს აპარატიდან: ნინო ლიპარტელიანი და ეკატერინე დუგლაძე; ხაშურის ინტელიგენციის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროდან; თანამშრომლები



თვის უერთდებოდნენ ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, თამაზ ლაცაბიძე და მისი თანამშრომლები, მოეშურებოდნენ ტაშისკარში, რათა აღუნიშნავი არ დარჩენილიყო საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი თარიღი. ამ ტრადიციის დამკვიდრებაში თავისი წვლილი შექონდათ ქვიშხეთელებსაც; გურამ ყორანაშვილის წამოწყებას ყოველთვის მხარს უჭერდნენ არაჩვეულებრივი წიგნის „ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთის“ ავტორები, კლიმენტი სუთიაშვილი და გივი გელაშვილი. ასევე, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები. წელს კი ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ(ზაზა) დუგლაძის და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, კულტურის სამსახურის და საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ორგანიზებით, „საკაძის ნაბლთან“ გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურისა და ქვიშხეთის ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. ლონისძიების ერთ-ერთი ხელშემწყობი გახლდათ ხაშურის

ხაშურის მხარეთმცოდნეობისა და დიმიტრი ყიფიანის მუზეუმებიდან. სახლ-მუზეუმიდან; ასევე ამავე სახელწოდების ქვიშხეთის საჯარო სკოლისა და ხაშურის სკოლა-პანსიონიდან; ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

ლონისძიება გაიხსნა სურამ-ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის მისასალმებელი სიტყვით და ლოცვა-კურთხევით. საზეიმო კონცერტის ორგანიზება და ამალგებული განწყობის შექმნა, როგორც ყოველთვის, ახლაც არაჩვეულებრივად მოახერხა ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთა გაერთიანების ხელმძღვანელმა, კონცერტის ორგანიზატორმა გაა ბოლოკაძემ. ერთმანეთს ენაცვლებოდა სიტყვა, სიმღერა, ცეკვა და ლექსი... სიტყვებით გამოვიდნენ ისტორიკოსები: ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი თამაზ ლაცაბიძე, ნიკო ხერკიაძე და პოეტი-ისტორიკოსი ვაჟა ოთარაშვილი. უზრუნველყოფა ხაჩიძე.

დამსწრე საზოგადოებისთვის სასიამოვნო სიახლე იყო ის, რომ მომღერალ დავით არჩ-

# თავის ღრობა

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში „ვიწინასწარმეტყველებთ“, ძალიან მალე გამოვიდა „დილის“ მე-6, ზაფხულის ნომერი.

მალხაზ კუხაშვილის მხატვრობა ამჟვენებს გარეკანს.

პოეზია წარმოდგენილია მაია კარსელის, ლალი ჯაფარაშვილის, დალი მაზმიშვილის, მამუკა ოჩიაურის, მაია ხოფერიას და ლალი ლაჭავას ლექსებით.

პროზული ნაწარმოებებიდან გამორჩეულია ოტია იოსელიანის, თამარ გაბროშვილის, მაია დიკონიძის მოთხრობები.

არის თარგმანიც – მილოშ მაცუორეკის მოთხრობა „ზუზანკა და ასოები“ (მთარგმნელი გიორგი კაკაბაძე).

ტრადიციულად გამოირჩევა ნინო ქუთათელაძის რუბრიკა „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“. რუბრიკის თემა ნინო ნაკაშიძე, დიდებული საბავშვო მწერალი, დიდებული ადამიანი.

ინტერესით იკითხება ბელა გველესიანის გვერდი, რომელიც ციციანთაულებს შეესახებ იმდენი საგულისხმო ამბავია მოთხრობილი, რომ მოგინდება რაღაც მოთხრობა ან ლექსი დაწერო ამ უცნაურ, მშვენიერ (შორიდან) არსებებზე.

მათემატიკური თავსატეხები გონიერს გაართობს, „უგუნურს კი გულსა ჰგმირდეს“.

არის სხვა სათამაშოებიც – გონიერთათვის.

და, რაღა თქმა უნდა, ნინო მზესელის ზღარბუნას უბის წიგნაკი, საყვარელი და ძვირფასი.

უზრუნავი გაფორმებულია ზაურ დეისაძის, ანანო გრიგოლიას, გიორგი ჩაჩანიძის, ვაჟა ქურხულის, მანანა მორჩილაძისა და, როგორც აღვნიშნეთ, მალხაზ კუხაშვილის ნამუშევრებით.

„დილა“ – საზაფხულო ნომერი. – პირველი.

იკითხეთ დილიდან ღამემდე!  
გელა ცინცაძე



### ანდრო ბელუკაძე

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში 1860 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი წელია. ამ წელმა ილიას შემოქმედებაში გარდამტეხი როლი ითამაშა. ეს იყო მძაფრი, ტრაგიკული განცდების ხანა მის ცხოვრებაში. 1860 წელს ილია ეცნობა ბარათაშვილის პოეზიას, განსაკუთრებით ხიბლავს „ბედი ქართლისა“ და „მერანი“; ამ წელს ილია კარგავს უსაყვარლეს უმცროს ძმას თეიმურაზს; ამავე წელს ილია კარგავს შეყვარებულ ქალს.

გურამ შარაძემ დაადგინა, რომ 1860 წელს დაწერილი ორი ლექსი, „ს... ჩ... სას“ და „ჩ...სას“, ეკუთვნის ალექსანდრა (საშა) ჩაიკოვსკაიას, კომპოზიტორ პეტრე ჩაიკოვსკის დას და არა მის ბიძაშვილს, სოფიო ჩაიკოვსკაიას. ეს ყოველივე უტყუარი არგუმენტაციითაა დასაბუთებული და ჩვენ მათ გაკვირვებთ. ჩვენი წერილის მიზანია, გავარკვიოთ, ვინაა ადრესატი ამავე წელს, 5 ნოემბერს, დაწერილი ლექსისა „გახსოვს ტურფავ...“ ალექსანდრა (საშა) ჩაიკოვსკაიასადმი მიძღვნილი ლექსები დაწერილია 21 და 22 ივლისს. სამივე ლექსი პეტერბურგშია შექმნილი.

ილიას თხზულებათა ყველა გამოცემის კომენტატორი ლექსის, „გახსოვს ტურფავ...“, ადრესატად მიიჩნევს სოლომონ ჭავჭავაძის შვილს ელისაბედ ჭავჭავაძეს. ასეა ეს 1914, 1927, 1953 და 1985 წლების გამოცემებში. ეს ტრადიცია კი სათავეს იღებს ილიას ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფისაგან.

ილია ჭავჭავაძის პირველი ვრცელი ბიოგრაფიის ავტორი გრიგოლ ყიფშიძე 1914 წლის თხზულებათა ორტომეულის პირველი ტომისათვის დართულ ბიოგრაფიაში (მეორე ტომი ამ გამოცემისა აღარ დაბეჭდილა პირველი მსოფლიო ომის გამო) ამ საკითხის შესახებ წერს:

„რაკი სიტყვას მოაქვს, აქვე უნდა გავიხსენოთ ილიას ახალგაზრდობის ერთი ეპიზოდიც, რომელიც, ასე თუ ისე, ჩვენი მგონის სიყვარულს შეეხება. ეს ეპიზოდი ილიას ტრფილი ე.მ.ს მიმართ. ამ სიყვარულს უკავშირებენ ილიას ცნობილ ლექსს:

*გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრობდით?..*

როგორც ეტყობა, საქმე ასე ყოფილა: ილიას სურვილი ჰქონია რუსეთში წასვლისა და უმაღლესი სწავლის მიღებისა, მაგრამ ნივთიერი ხელმოკლეობა და დედ-მამით ობლობა აბრკოლებდა. მაშინ, კნ. მაკრინეც რასაკვირველია, კარგად იყო ჩახედული თავისი ძმის ნატვირთ ოჯახის მდგომარეობაში და ჰხედავდა, რომ საღსარი არ იყო ილიას გამოზრდისა რუსეთში. მაგრამ საგულეველია, მის გამოცდილს თვალს შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ილია გულგრილად არ ექცეოდა ს.ჭ.სასს (ხაზი ყველგან ჩვენი, ა. ბ.), და, აი, სხვა ღონე რომ ვერა ჰპოვარა, კნ. მაკრინემ მიჰმართა შედარებით შეძლებულ ოჯახის შვილს. მოილაპარაკეს ორივემ და დაასკვნეს, რომ ს.ჭ.მე უგზავნოს ილიას რუსეთში ფული სწავლის გათავებამდე იმ პირობით, როცა დაბრუნდება, მისი ქალი შეირთოს ცოლად. კობტა აბხაზიც ამონებებს ამ გარემოებას, მხოლოდ მაშინდას მაგიერ ილიას მამას იხსენიებს. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა. ილიას მამა გარდაიცვალა 1852 წელს, როცა ილია ჯერ ისევ გიმნაზიის მეხუთე კლასში იყო. ჩვენის ფიქრით, შეცდომა უნდა იყოს ისიც, ვითომ ილიამ არა იცოდა რამა მოლაპარაკებისა, არ იცოდა, ვითომ საიდან და ან რა წყაროდან მოდიოდა რუსეთში ფული და რა პირობითა, როგორც ამას გვიმტკიცებს კობტა აბხაზი თავის მოგონებაში. შესაძლოა ილიას დაუკითხავდ მობდა მოლაპარაკება და მაგ უცნაურის პირობის დადება, მაგრამ საეჭ-

ვოა, რომ ილიას არა სცოდნოდა, ფული ვისგან მისდიოდა და რა აზრითა. კობტა აბხაზის ნაამბობიდანვე სჩანს, რომ ილიას მეტად სამძიმოდ მიაჩნდა თავისი უხერხული მდგომარეობა, თავისი ორჭოფი



## ილიას ერთი ლექსის აღკვეთა

ყოფა ამ საქმეში, თითქმის იტანჯებოდა კიდევ და უკადრისობდა ასეთს ყოფასაო. რუსეთიდან დაბრუნებისას სთხოვა მამიდას, სულ გადაუხადე, რაც ფული აგილია, ს.ჭ-საგანო. და მაშინდაც შეასრულა ეს თხოვნა და ამით უზომოდ გახარებულმა ილიამ უთხრა თავის მეგობარ კობტას: მომილოცე, კობტა, დიდი და მძიმე ტვირთი მოვიშორე კისრიდან, სულ გადაუხადე ვალი ს.ჭ-ს, ახლა თავისუფალი ვარო. ყოველივე ეს ცხადად გვანიშნებს, რომ ილიამაც იცოდა პირობის დადების ამბავი, მაშასადამე, იცოდა ისიც, თუ საიდან და ვისგან მისდიოდა ფული.

თუ საბუთიანობა არ აკლია ამ ეპიზოდის ასე განმარტებას, მაშინ ისე ძნელი აღარ იქნება გამოცნობა იმისა, თუ ვინ არის ნაგულისხმევი ილიას ცნობილისა და დიდის ხელოვნებით დაწერილს ზემოხსენებულს სალირიკო ლექსში. ცხადია, ის სატრფო არც ტერ-ასატუროვის ასულია, არც ტფილისის გიმნაზიის დირექტორის დემენტეივის ქალი და მით უფრო არც დაიკომპოზიტორის ჩაიკოვსკისა.

დარჩა ერთადერთი მოსაზრება, რომ ის ტურფავა ს.ჭ-ს ასული, რომელმაც გაიტაცა ჭავჭავაძე ილია, ხოლო ამ გატაცებაში მისცა საბაბიცა და საბუთიც ს.ჭ-სა და ილიას მამიდას ის უცნაური პირობა დაედოთ. რა იცოდა ან ქალის მამამა ან ილიას მამიდამ, ამ ძველებურ პატრიარქალურ წესის ხალხმა, რომელიც ოდესმე აკვანშივე ჰნიშნამდა ქალ-ვაჟსა, რომ მაგნიარის პირობის დადება სრულიად აღარ შეეფერებოდა ახალს დროსა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს, რომ ეგ პირობა სამიში იყო სიყვარულის საქმეში და ადვილად შეიძლებოდა მაგ სიყვარულის სამარედ გადაქცეულიყო. და სწორედ ასეც მოხდა. პირობა დაიდვა, საქმე ჩაიშალა. ნაზმა სფერამ გრძნობისა და პოეზიისამ ვერ აიტანა უღმობელი პროზა ცხოვრებისა“ (გრ. ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, 1914წ. გვ. XVIII-XIX).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ყიფშიძე არ ეყრდნობა კობტა აფხაზის, ილიას ბავშვობის მეგობრისა და დისშვილის, მოგონებას ლექსის „გახსოვს ტურფავ...“ „ადრესატზე“ მსჯელობისას. ამასთან, გრიგოლ ყიფშიძეს მიაჩნია, რომ აფხაზს სოლომონ ჭავჭავაძესთან გარიგების დამდებად გრიგოლ ჭავჭავაძე, ილიას მამა, ჰყავდა დასახელებული, როდესაც, სინამდვილეში, ეს გარიგება ილიას მამიდამ, მაკრინემ, დადო. დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ ყიფშიძე ფაქტების

ნაცვლად ბელეტრისტიკას უფრო მიმართავს – ილიას ინტერესს ბავშვისადმი და ამის შემჩნევას მამიდის მხრიდან.

მინდა მკითხველს შევახსენო, რომ ელისაბედ ჭავჭავაძე იმ დროს, როდეს-

საც იდებოდა შეთანხმება სოლომონ ჭავჭავაძესა და ილიას მამიდას შორის, იყო 7 წლისა. ილია პეტერბურგში ჩასვლისთანავე, 1857 წელს, უახლოვდება კომპოზიტორ ჩაიკოვსკის ოჯახს და მოიხიბლება მისი დით, ალექსანდრა (საშა) ჩაიკოვსკაიათი. მათი სიყვარული გრძელდება 1860 წლის ზაფხულამდე, ვიდრე საშა ჩაიკოვსკაია უარს არ ეუბნება ილიას და თხოვდება რუს მემამულე ლეე დავიდოვზე, რომელსაც მიჰყვება უკრაინაში შემოდგომით, ნოემბერში. დადასტურებულია, რომ ილია სტუდენტობის მთელი პერიოდი ჩაიკოვსკაიათა გატაცებული, ამაზე ხომ მისი არა ერთი ლექსი და დისაღმი, ნინოსაღმი, გაგზავნილი წერილიც მეტყველებს (1859 წლის 18 თებერვალი). შეუძლებელია, პარალელურად სხვა ქალის ადგილიც რჩებოდეს ილიას გულში, მით უფრო, თუ ეს შვიდი წლის ბავშვია. გრიგოლ ყიფშიძის ყველა დასკვნა, რომლებიც ამ ლექსს ეხება, ვარაუდზე უფროა აგებული, ვიდრე ფაქტებზე.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ყიფშიძე კრიტიკულად უდგება კობტა აფხაზის მოგონებას. მეტი სიცხადის შესატანად დავიმოწმებთ მემუარისტის სათანადო ადგილი მოგონებდან: „ბევრსა ჰგონია, რომ ილიას უყვარდა ქ. მარჯანოვისა – სოლომონ ჭავჭავაძის ასული, მაგრამ საქმე ნამდვილად ასე გახლდათ. ილიამ გიმნაზია რომ გაათავა, დააპირა რუსეთში, უნივერსიტეტში წასვლა, მაგრამ შეძლება არა ჰქონდა, მის მამას გრიგოლსაც ძლიერ ჰსურდა, რომ შვილი უნივერსიტეტში წასულიყო. და აი, სწორედ ამ გაჭირვებით ისარგებლა შედარებით შეძლებულმა სოლომონ ჭავჭავაძემ და გრიგოლთან პირობა შეჰკრა, რომ ის გაუგზავნის ილიას თვეში ოთხს თუმანს უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე, მხოლოდ სამაგიეროდ, ილია რომ დაბრუნდება, უნდა შეირთოს მისი შვილი. ეს უილიდ მობდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილა. ჯერ სტუდენტობის დროს მეტად ეძიებოდა ილიას ეს დამოკიდებულება და მეტადრე დადებული პირობა. უნივერსიტეტიდან რომ დაბრუნდით (1859წ. 27 ენკ.) ერთ დღეს ალავერდში მივდიოდით ხატობაში და აი, აქ გზაში ილიამ სიხარულით მითხრა: „კობტა, მომილოცე, გავათავეო, სოლომონმა აი ამდენი ფული გამომიგზავნა პეტერბურგში. ახლა მამიდა მაკრინეს დავავალე, სულ მთლად დაუბრუნე მეტი. ახლა თავისუფალი ვარ“. მეტად ნასიამოვნები იყო ილია, რომ მძიმე ტვირთი თავიდან მოიშორა“ (მოგონებები

გარდასულ დღეთა. ილია. შემდგენლები: გურამ გვერდნითელი, სარგის ცაიშვილი. „მერანი“. 1987წ. გვ. 185-186).

თუ ხაზგასმულ სიტყვებს დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ მასში არათუ ეჭვია გამოთქმული ილიას ელისაბედ ჭავჭავაძისადმი სიყვარულში, არამედ უარყოფაა, როგორც ჩანს, გავრცელებული ჭორისა – ბევრს ჰგონიაო. ვის, თუ არა კობტა აფხაზს, მოესხენებოდა ილიას პირადი გრძნობების შესახებ. ამდენად, უცნაურია გრიგოლ ყიფშიძის, ამ კეთილშობილი ადამიანის, ბელეტრისტული ნიაღვრები: თუ როგორ შეამჩნია მამიდა მაკრინემ ილიას ელისაბედისადმი დაფარული გრძნობები. როგორც მოხმობილი ვრცელი ციტატიდან დავინახეთ, კობტა აფხაზი, როგორც მთავარი მოწმე, ხელიდან გამოეცალა ყიფშიძესაც და ყველას, ვინც უაპელაციოდ იმეორებდა, რომ ილია გატაცებული იყო სოლომონ ჭავჭავაძის ასულით. აქედან გამომდინარე, ვერც ლექსი „გახსოვს ტურფავ...“ ვერ იქნებოდა ელისაბედ ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სხვა მიზეზის გამოც:

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში სასწავლებლად 1857 წელს გაემგზავრა. ამ დროს იგი 20 წლისაა, ელისაბედი კი 7-ისა. წარმოგიდგინათ 20 წლის ახალგაზრდა კაცის „ლტოლვანი“ 7 წლის ბავშვისადმი? თანაც ეს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ილია! ჩვენ იმას როდი ვამტკიცებთ, რომ ამგვარი ასაკობრივი სხვაობა პრობლემას წარმოადგენს, გააჩნია, როდისაა ეს სხვაობა – ოცდაცამეტი წლის მამაკაცსა და ოცი წლის გოგოსა თუ 7 წლისაა და 20 წლისა შორის.

როგორც ვნახეთ, მემუარისტი, ყველაზე სანდო მემუარისტი, კობტა აფხაზი, არ ადასტურებს, პირიქით, უარყოფს კიდევაც ილიას სიყვარულს ელისაბედ ჭავჭავაძისადმი. მაშ, ვის ეძღვნება ლექსი „გახსოვს ტურფავ...“.

ვფიქრობთ, ეს ლექსიც საშა ჩაიკოვსკაიას უნდა ეძღვნებოდეს. ლექსის შინაარსი, პოეტური ლექსიკა, განწყობილება სრულად ემთხვევა ზაფხულში დაწერილ საშასადმი მიძღვნილი ორი ლექსის განწყობილებას.

ილიას ამ ლექსებს – „ს...ჩ...სას“, „ჩ...სას“ და „გახსოვს ტურფავ...“ ის აერთიანებს სევდა დაკარგული სიყვარულისა, ქალი ვაჟს მიმართავს „დასტკბი გიჟო!“ (ს...ჩ...სას), ან „შენ გიჟმა რა იცოდა“, „შენ გიჟმა“ („გახსოვს ტურფავ...“), ანუ ვაჟმა, რომელსაც ქალი „გიჟს“ უწოდებს – სიყვარულისაგან გადარეულს. შეუძლებელია, სხვადასხვა ქალის სიყვარულის გამოხატველი ლექსიკა ერთი და იგივე იყოს. გარდა ამისა, „გახსოვს ტურფავ...“ როდესაც დაიწერა (1860 წლის 5 ნოემბერი), ილია კვლავ პეტერბურგშია და უარყოფილი სიყვარულისაგან მიყენებულ ჭრილობებს იშუშებს და როგორ წარმოგიდგინათ, რომ ამ დროს 7 წლის ბავშვი ახსენდება (1857 წელს, ილია როდესაც პეტერბურგში წავიდა, ელისაბედი ხომ ამ ხნისა იყო) და მის „გმობაზე“ საუბრობს? ვფიქრობთ, შეუძლებელია.

ლეგენდა ილია ჭავჭავაძისა და ელისაბედ ჭავჭავაძის სიყვარულის შესახებ იმ გარიგებამ წარმოშვა, რომელიც გრიგოლ (ილიას მამასა, როგორც ამას კოტე აფხაზი ამბობს, რაც სარწმუნოა) ჭავჭავაძესა და სოლომონ ჭავჭავაძეს შორის დაიდო (ამ შეთანხმების მოწინააღმდეგე გრიგოლ ყიფშიძე ილიას მამიდასა და სოლომონ ჭავჭავაძეს ასახელებს, რაც სარწმუნო არაა, ამის შესახებ უკვე ვთქვით). ასე რომ, ისტორია ამ ლექსის ადრესატის შესახებ არაა მყარ საფუძველზე დაყრდნობილი, მოგონილია და უარსაყოფი. ლექსი „გახსოვს ტურფავ...“, როგორც „ს...ჩ...სას“ და „ჩ...სას“, მიძღვნილია ალექსანდრა (საშა) ჩაიკოვსკაიასადმი.

### რეზონანსი

პლანეტის უმძაფრესი მრავალმხრივი განვითარებული თანამედროვეობა თავისი ტექნიკურ-მეცნიერული საოცრებებით ძველი კოლხური ცივილიზაციიდან აღმოცენდა. იმ უპირველესიდან განვითარდა პრაქტიკულად და იქვე სატანა ჩაერთო, როგორც ყველგან და ყოველთვის. ღმერთ-კოსმოსმა, მეტაფორული მცირე კოლხურ არქაული ლუმლით ადამის მოდგმას სამუდამოდ აღმავალი დიდებისაკენ გზა გაუკაფა. საგარეო მხარე მცირე მინის ამოქვაბულმა, რომელიც ცეცხლგამძლე ქვის ფილებით იყო ჩანსობილი, იქიდან ამოდნობილმა მეტალმა, რკინამ და მისგან გადასუფთავებულმა ფოლადმა გამოჭრა კაცობრიობის ერთ-ერთი საოცრება სფინქსი, დაამუშავა პირამიდები, ეგვიპტური შუადარბელი მუქი ცისფერი ქანდაკება-ბიუსტები და ანტიკის საკვირველებანი, ფოლადის საჭრეთლებმა გამოთალა შედევრი ვენერა მილოსელი, მოვლენა ნიკეა და ასევე გენიალური, ან კაცთათვის მიუღწეველი ფიდაისი ქვაში ღმერთად ქცეული ქანდაკებები.

კაცობრიობის მთავარი მეცნიერულ-ტექნიკური კარკასი, უძველესი კოლხურ-ქართული მცირე მეტაფორული ლუმლი ათასწლეულის, ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარებაა, რომელმაც შემზარავ ატომურ და ნუკლეონის ბომბამდის ააღწია. მერმე სამშვიდობო თანამგზავრი მთვარეზე დაჯდა და მშვიდ პლანეტაზე... მაგ მცოვან ნინაპარ მეტალისგან დამზადებული ხმლებით, საუბედუროდ, ათასობით წელს ადამიანები კლავდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს, ან მუდმივი სანდო დაცვა იყო მათი: ამ დროს სატანა, ბნელით მოცული, ფოლადის ნემსზე იჯდა და კბილურჯებიანი ხარხარებდა, კოსმიური უმთავრესი შეგნება კი გაკვირვებული შეჰყურებდა ყოველივეს. უძველესი კოლხური მეტალურგიის აღმოჩენით ადამიანმა თანამედროვეობით შეაიარაღა და გააძლიერა თავისი ბუნებრივი, ბოროტი და კეთილი თვისებები, რომლის ამოუძირკვევი ფესვები სამყაროსა და უახლოესი კოსმოსის ნიადაგზეა გაბნეული...

თანამედროვენი, დრო დაგვიდგა მნიშვნელოვანი, რათა ხელი შევეწყობო მადლობის დიდ რაობენებას, როგორც ბრძანდება ბატონი ნიაზ ბოლქვაძე. უანგარო მეცადინეობით პლანეტის უპირველესი ცივილიზაციის საწყის-ნიმუშ-ექსპონატს თავის თავზე მეტად რომ უფრთხილდება და ამ რაინდული გზით საქართველოს მარადიულად აძლიერებს; რომელიც თავისთავად დედამიწის ისტორიის და ცივილიზაციის სათავეა.

არ ყოფილიყო რკინა-ფოლადი, ადამიანი გენივ დიდი ხელოვნებისა, რითი შექმნიდი სფინქსს? ან პრაქტიკის აფროდიტეს შედევრ ქანდაკებას? ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს თუ ფერადი კაჟის ქვის საჭრეთლიდან? არ გაგვიცინოს, აზრთ მეჭვჭვე! ამდაგვარ თანამ შედარებებზე ან ჰიპოთეზებ-ნარმოსახებზე. ასევე უნდა ითქვას, რითი გამოჭრიდი კლდეებზე ულამაზეს სალოცავ დარბაზებს და სხვადასხვა დანიშნულების ოთახებს, საუკუნეებში ბერ-მონაზონთა სენაკებს? მიკვირს!..

ჩვენ, ქართველებს, კოსმოს-ღვთის ბოძებით დღემდე შემოგვრჩა მცირე ღუმელ-მეტალურგიული საოცრებანი, შესაძლოა, მოუვალი ტყეები ინახავდა მაგ-ნარსულის სასწაულს ან კლდეანი მთა: ვინ იცის, ეკლბარდები საუკუნეების განმავლობაში როგორ ავიწროვებდა, მაგრამ ამჟამად გამოუჩნდნენ პატრონ-მომვლენი... დაუჯერებელია, რომ ამ ყოფილიყო სხვა ადგილებში უფრო ძლიერი ლუმლები - ვანის სახალხოვეს, საჩხერის, კერძოდ, საირხეს, ქუთაისის, ჩხორონწყუს, ნალენჯისის, მარტვილის მინებზე, მაგრამ ადამიანებმა მილიონჯერ გადახნეს ის ადგილები და ვაზი გააშენეს ან სოფლის მეურნეობის

სხვა კულტურა; მტერმა მრავალჯერ ითარგნა, ხოლო, რაც აღმოჩენილი იქნა კოლხური კულტურის ნიმუშ-შედევრები, ან შემორჩენილ-გადარჩენილი მუდმივი სურათი კაცობრიობის უპირველესი და თანამედროვეობითი ცივილიზაციისა, გახლავთ ჩაქვის რკინის სადნობი სახელოვნო, რომელიც წარმოადგენს პლანეტაზე მცხოვრებ ადამიანთა ევოლუციური განვითარების ქიზს, მომავალ ათასწლეულში მრავალ აღმსარებლობასაც რომ დააბეურებს, რადგან უხარო კოსმოსის თვალგენიალობა სხივებფრქვევლი...

ბედად, მინამ მადლიანმა შემოგვიანა თავის მშვიდ კლდეებში. ამ სახის პატრონობა რომ არა, მათი ნასახივც არ იქნებოდა ამქვეყნად, ხოლო ჩაქვის მეტალურგიის ლუმლები მართლაც უფალ-კოსმოსმა გვიბოძა. უეჭველია, როგორც კაცობრიობის უპირველესი უამრავი



## უძველესი კოლხური მეტალურგია და კაცობრიობა

მიღწევა, კერძოდ კოლხებისა, ესენიც დაკარგულთა რიცხვში აღმოჩნდებოდა - ძველთაძველი უფრო დიდი ლუმლები მინამ მიიერთა ან დრომ გაიყოლია.

ალბათ, ძველი ეგვიპტის სამხედრო შეიარაღება, შუმერების, ქალდეელების, ხეთების, ბაბილონელების, ძველი ებრაელების, სპარსელების, ინდოელების, ჩინელების, ტიბეტელების, ყოველივე კოლხური უძველესი ცივილიზაცია მეტალურგიის შედევრ-წყალობა იყო და, მე მგონი, ისტორიულ მოვლენათა აზრებით თუ გადავხედავთ, უთუოდ ექვსი ათას წელსაც სცდება. ეს საოცრება ერთ-დროულად უცბად ია-ის ყვავილივით ხომ არ აღმოცენდებოდა. რა თქმა უნდა, მას წინ უდევს მრავალი საუკუნე, დღეს ელვის სისწრაფით თუ ვითარდება კულტურა-ცივილიზაცია, უძველესში ხომ ნელი ტემპით, მთვარის სვლასავით შეუმჩნევლად მოედინებოდა დრო!

ანალიზიდან გამომდინარე, მინდა დავიჯერო, უძველესი კოლხეთის მოვლენა ყოველად აუცილებელმა საერთაშორისო ცივილიზაციამ ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტამდე ჩააღწია ისე, როგორც იესო ქრისტეს ლეთორმა მოძღვრებამ (ფაქტი მედიცინა). მერმე რკინა-ფოლადის უძველესი მეტალურგიიდან განვითარების მოყოლილ კბილებამდის უფრო მეტად შეიარაღებულმა ხალხმა ჩვენი წელთაღრიცხვის ათას-ექვსასიანი წლებში თოფ-რევოლვერებით, ანუ ცეცხლსროლი იარაღებით და რკინის მკვეთავი ხმლებით აღჭურვილმა, უხეივ ვეროპლებმა დაიპყრეს და მათგან ითქვა ახალი კონტინენტი აღმოვაჩინეთო. რა თქმა უნდა, პირიქით! ადგილობრივებმა, დამხვედურებმა აღმოაჩინეს მომხდური კოლონიზატორები, რომლებმაც დემაგიგურად ამერიკად შერაცხეს უძველესი კოსმოური მინა ვარსკვლავეთისა. მრავალთავან ტანჯული კოლხეთის ისტორიისა არ იყოს - თუმცა რომელი ერთი არაა დედამიწაზე განამებული? რადგან ერთმანეთს აწიოკებენ ოდითგანვე; ვისი აღმოსაჩენი იყო მზის ქვეშ გასხივოსნებული ატმოსფეროსა და მაისი იგავმი-უნეფომელი კულტურა-ცივილიზაციის ხალხი, რომლითაც თავიანთ კანონზომიერ განვითარებას ფლობდნენ. პირიქით,

ტლანქი გონების ყოყორი დამპყრობნი ვარსკვლავეთურ ხედვა-აზროვნებას აზიარეს და მინც - ბოლომდის ვერა... მართლაც რომ, ბევრი რამე საკვირველება ამქვეყნად, მგონი, ბევრად აჯობებდა, მათ რომ თქვათ, ავად ვეახლეთ ზეციური შეგნებისა და სიერცობრივი კანონების ქვეყანას...

როგორც მოგახსენეთ, ოდინდელი მცირე კოლხური მეტალურგიის ლუმლებმა დროთა ფაშში ისე შეაიარაღა ადამის მოდგმა, რომ მომავალში მოლექულების მრავალ სახეობას თავის ბუდეებიდან ამოყრის და, ვინ იცის, შედგება რას მოგ-იუტანს - უბედურებას თუ ბედნიერებას: აუცილებელია, ვიყუთ მჭიდრო კავშირში ღმერთ-კოსმოსთან, უსასრულო სამყაროსთან და გადავრჩებით...

„უცილოდ ყოველივე უძველესი კოლხური პირველადი მეტალურგიის

უცხოებებმა გააქრეს; დავით აღმაშენებლის, კონსტანტინე არსაკიძის საფლავები? უფრო ჩვენ რომ გვეძებს, ერეკლე მეფის... შოთა რუსთველი იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან დღენიდავ სიბრძნით გემოძვრავს (დაუდგენელია, რუსთველი შურმა გააძევა საქართველოდან თუ თავად ირია გზა გოლგოთის სიახლოვეს ბერად შედგომისა), ნამებული ილია ჭავჭავაძის, ზეციური ნიჭის - ვაჟასი, აკაკი წერეთლის, კოსმოური მოვლენა გალაკტიონის, პლანეტარუმი მარადიული ფიქრ-სევედა ტერენტი გრანელის, ივანე ჯავახიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, პროზის თვითმყოფადი გენია კონსტანტინე გამსახურდიასი და სხვა მრავალ დიდებულთა...

უცილოდ მეგობრები, კაცობრიობის კულტურა-ცივილიზაციის უძირო ფიქრთ საფლავთ-სარკოვან-პირამიდებია უძველესი კოლხეთის მეტალურგიის უტყუარი ნიშან-კაც-საფლავთ მიმსგავსებული ძეგლები; მათი დაკარგვა ზუსტად იგივეა, რაც წმიდანთა და გენიათ საფლავ-სამარხებისა...

სიამაყე სინმინდის ძეგლები მოვშალოთ და დავივიწყოთ? წარმოუდგენელი ველური შემოილობა იქნებოდა უთუოდ... ხომ ყოველთა მარადიული ფიქრ-დარღია დაკარგვა თამარ მეფის საფლავისა, სევედის სავსეობა და ვისი დანაშაულია? ნიკო ფიროსმანაშვილის განსასვენებლის გაქრობა, კიდე კარგი, სადღაც ქართულ მინიერებაში მიბარებული, რა თქმა უნდა, მინას ჩვენი დარდი არ აფიქრებს, მაგრამ ვინ იცის... ხსენებულ-ღვთიური ხომ კაცობრიობის კულტურა-ცივილიზაციის საწყის ჩვენამდე მოღწეული წმიდათა წმიდა სურათ-ხატებია.

„სამყაროში ადამიანისათვის ორი ზეციურად დაკანონებული სამარხია, მინიერი და სიერცობრივ-ვარსკვლავეთური; პირველი დროებით წარმავალია, მეორე - ქვეყნიერების მესხიერებასავით მარადიული“...

სამწესობად, უძველესი კოლხური ცივილიზაციის ისტორიული ნიშან-ექსპონატები მრავალი სახეობისა დრომ და მტერმა გაანადგურა. მათგან უამრავი ჩვენი ქართული თბილმშობლიური მინის უბებშია ჩაკირულ-ჩამარხული და ამ სიმბოლურ ვითარებას შეიძლება ეწოდოს საერთო ერეკლეული უდიდესი ისტორიული წარსულის წმიდა სამარხი, ხოლო ბედ-ილბლად, უფალ-კოსმოსის წყალობით მზისქვეშეთში რაც შემოგვრჩა ჩაქვის სასახეებში, ჩვენი სიცოცხლის ფასად უნდა გადავუჩინოთ ერს და კაცობრიობას. იგივე მდგომარეობა გვაქვს კოლხური ოდების თაობაზე, სამარცხვინოდ, ჩვენ თვალწინ ქრება მსოფლიოში სრულიად გამოჩენული ხის მასალის სპეციფიკური არქიტექტურა, რომელიც კოლხეთის მინაზე ათასწლეულმა ნიჭმა შექმნა...

მთავარანგელოზის, კოსმოს-უფლის მთლიან-მართალ მადლმა ამ საკვირველ და სიამაყე საქმეზე გაამსესა ნიჭიერი, ენერგიით სავსე თავდადებულები და ურთულესი საქმის დრმად მცოდნე, ზნეობრივად უპატიოსნესი ფილოსოფოს-მეცნიერი, ყოვლად იმედ-მებრძოლი ბატონი ნიაზ ბოლქვაძე - ჩვენ, უკლებლო ყველანი, შეგნებულად უნდა ამოუდგეთ გვერდში ბატონ ნიაზ გამამრჩენელს! განვეშორეთ ეშმაკეულ ცდუნებას და უხილავ დემონურ ყუთებში ჩაეკეტათ ყოველთ დამაჯადმყოფებელი შური, წარმართული ბოლმა, სიმდაბლე-გაუტანლობა! რაც შეიძლება მედგრად მოვითოკოთ საქმის დამლუპველი სწრაფვა დაუმსახურებელი და უნიჭო პირველობისაკენ. დროულად ჩვენშივე ნათელი წმიდა აზრთ-საქციელი გავაშუქოთ და ყოველდღივ ხელი შევიწყობო პლანეტის და კაცობრიობის ცივილიზაციის უნიკალური საწყის ნიშნების გადარჩენას.

გენიალურმა მეცნიერმა და არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა უიშვიათესი და უტყუარი ინტუიციით, რომელიც სხივ-კოსმიურია, წინასწარ მინიშნა ადგილი და პირდაპირ ბარი დაარყო ათასობით

წელი მინისქვეშა მკვნესავ ტროას მიდამოებს და არქეოლოგიურად გახსნა-აღმოაჩინა საოცრებანი კაცობრიობის უძველესი კულტურა-ცივილიზაციისა. მერმე ჰაინრიხ შლიმანს კვლავ უბიძგა ზენა-არმა ძალამ და, რუსეთის იმპერატორს, ნიკოლოზს, მისწერა თხოვნა, მიბოძეთ უფლება და გამინიეთ კეთილშობილური თანადგომა, რათა უძველესი კოლხეთის დედაქალაქი აია არქეოლოგიურად გავეთხარო და მეცნიერულად შევისწავლო. დიდა, წმიდანის ტოლმა შლიმანმა დამპყრობი იმპერატორისგან ცივი უარი მიიღო, რადგან რამი ანყობდა პატარა ერთა მომშლელმა და მომსპობ, ეროვნულად გადამშენებელ ბოროტებას უძველესი საქართველოს კულტურა-ისტორია-ცივილიზაციის გამოშუქურება, რაც ფსიქოლოგიურად გენეტიკურ-ისტორიულად და კულტურა-ხელოვნება-მედიცინის კაცობრიობის თავნყარობით არსებულ რუსეთის ქვესქნელითურ მოხალადე ეროვნულ პოტენციალს უზარმაზარი ჩრდილით გადაფარავდა და ჩვეულებრივ, ჩვენს ერამდელი სკივთებით სტეპ-ველურ დამპყრობ ხალხად და მილიან რეალურ სურათად გაამქვანებდა...

„საუბედუროდ, ყოველივე ეს ხომ ხალხთა უკიდურესად გამანადგურებელი ომის დონეზე დანაშაულია კაცობრიობის წინაშე“...

ვწუხვარ, მეგობრებო! რა შეუძლია თურმე კანის უკეთურსა და გონებით უკონტროლო მოდგმას. მაგრამ მაგადგავარი უფარვის-შეგნებულნი მომავალში უფრო თუ გაბოროტდა, ისევე ჩვენს მტერს მისვლადეს!..

უმორჩილესად გთხოვთ, ყველამ დროულად თავი მოვიტოკოთ, სკივთის გზას გავყვეთ და გავაძლიეროთ, გავამხნევოთ ყოველმხრივ მოუსვენარ-მოცადინე ნიაზ გამამრჩენელი უძველესი კოლხური მეტალურგიის ბუნებისგან ძუნდად შემორჩენილი უშვიათესი ისევე კოსმიური ჩაქვის მინას მიბარებულ-დამეგობრებულ ექსპონატებსა. ამ შემთხვევაში ვალდებულნი მივლი საქართველო, პატივცემული ხელისუფლება, კანონთ მაძიებელ-დამდგენელი პარლამენტი, პარტიები, რა თქმა უნდა, განურჩევლად, უპირველესად ერის გონება და აზროვნება, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიის ცენტრი, უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია, მინიერ-ვარსკვლავეთური მუსიკათმყარომცოდნეობა, კონსერვატორია, კომპოზიტორთა კავშირი, თეატრალური საზოგადოება, მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, ჩვენი დიდებულ-სახელოვანი ტელევიზია-რადიო და ჟურნალისტთა კავშირი, ყველა პროფესიის საქართველოს მოქალაქეებთან, განურჩევლად ეროვნებისა, მინის მეგობარ-გლეხების და მუშათა მონაწილეობით. ძველმა და ახალმა მიცვალებულებმაც უნდა წამოყონ თავი ან სულით შეგვიონ უძველეს იდუმალ მეტალურგიის ლუმლებს...

აუცილებელია, საქმიანად გავიმეორო და უკლებლო ყველა ჩვერთოთ მრავალმხრივ ქართველთა წარსულის ისტორიის (რომელიც საკაცობრიოა) თუ მომავლის საქმეში. მეგობრებო! გაუთავებლო შეიძლება ვიშვჯღოთ, ვისაუბროთ და ვიოცნებოთ რეალურ ლეგენდისმიერ, ჩვენამდე მოღწეულ მეცნიერულ, ტექნიკურ თუ კულტურა-ცივილიზაციის უნიკალური ფასდაუდებელი მეტალურგიის სათავე ნიშნებზე, რომელიც, არ ვცდები და, ეგვიპტელებს, ბაბილონელებს, ატლანტიდელებს, ძველ ებრაელებს, სპარსელებს, სომხებს, ინდოელებს, ძველბერძნებს, იაპონელებს, ჩინელებს და ტიბეტს უთუოდ კეთილი ხედვით შემურდებოდათ. ძმებო ქართველებო! ყველამ და ყოველმა ჩვენგანმა მივხედოთ, რათა შეიქმნას მსოფლიოში მელი ღია ცის ქვეშ საოცრება მუხუმი. ვალდებულნი ვართ, მივხედოთ და მოვეფეროთ ჩვენი საამაყო ადამიანებისა და უძველესი კულტურა-ცივილიზაციის მარადიულ ექსპონატ-ძეგლ სამარხებს... ღმერთ-კოსმოსი იყოს ჩვენი მფარველი, გონ-სულიერი აღმზრდელი და ამინ..

ქაკლინ სირაძე

პასტორალი, ანუ ბუნებასთან გაუცხოება

„თავისი ბრწყინვალე ცოდნის მიუხედავად, იგი (ფსიქიატრი ჯენი - უ.ს.) გარკვეულწილად სულიერად გაუნათლებელი ჩანს [...]. ჯენი ყოველთვის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველი ყველია, მაგია მაგია და, თქვენ ნარმოიდგინეთ, ადამიანი - ადამიანი“ ( ი. ბერგმანი, „პირისპირ“).

კარგად ვაცნობიერებ, რომ ინგმარ ბერგმანის სიტყვებით ოთარ იოსელიანის შემოქმედების შეფასება იგივეა, პოეზიაზე მათემატიკური ფორმულების მოშველიებით ისაუბრო. მაგრამ ერთი რამ კი უდავოა - ბერგმანის სიტყვები ზუსტად მიესადაგება „პასტორალის“ მუსიკოსთა „ბრწყინვალე ცოდნის მიღმა მდგარ სულიერ გაუნათლებლობას“ (ი. ბერგმანი).

ამ სულიერი გაუნათლებლობის გამოა, რომ ისინი უნებოდ, უსიყვარულოდ, რაღაც მოვალეობის გამო, მექანიკურად ასრულებენ კლასიკურ მუსიკას. ამის გამოა, რომ არა მარტო უცვლელად მეორდება რეპერტუარის დრო, არამედ ზუსტად მეორდება მეცადინეობის განწყობაც. ეს ნიშნავს: ისინი იმდენად გულგრილად უკრავენ, რომ აქ მათი პიროვნული „მე“ არ მონაწილეობს. მუსიკა - ეს კოსმოსის ჰარმონიაა, ღმერთისა და სიყვარულის ენა, მაგრამ, თუ მისგან გაუცხოვდები, თუ აღარ ისმინებ ღმერთის ხმა, სიყვარულიც ქრება, შესაბამისად, აღარც სათნოება და უანგარო ურთიერთობები არსებობს. ოთარ იოსელიანი თავისი საყვარელი ჟანრისადმი - კომიკური დრამა - ერთგულდება ამ ფილმითაც ინარჩუნებს. ამაზე მეტყველებს მისი ამბივალენტურად აღსაქმელი სათაური „პასტორალი“, როგორც ბუნების ნიაღვი იდილიური ყოფა, ბუნების ხმასა და მის ჰარმონიასთან თანაზიარობა. ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის ირონიული დამოკიდებულება იმ სინამდვილისადმი, რომელიც თანამედროვე ეპოქის სულსკვეთებას შეაქვს სოფელში. ამიტომაც სათაური ნარმოითქმება ხაზგასმული, ირონიული ინტონაციით. ფილმში მეგრული ენა გამოყენებულია, როგორც იმ აბსურდულობის პირობითი ნიშანი, რომელიც ასე ნიშნულია თანამედროვე ეპოქისათვის - გაუცხოება საკუთარი თავისა და სხვა ადამიანებისაგან. მაყურებელმა მეგრული არ იცის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის არ იცინა თავად მასზე მოსაუბრე პირებმა. მეგრული (რეჟისორის მინიშნებით) განგებ დაუშნობელი და დაცლილია მუსიკალურობისა და ჰარმონიისაგან. ამიტომაც ამ ფილმისთვის ნიშნულია და უმთავრესია დუმილის საშიში ფენომენი. მორის მეტერლინკი წერდა: „საშიშია გაჩუმება იმ ადამიანების წინაშე, ვისაც ჩვენ არ ვიცნობთ და არ გვიყვარს.“ უსიყვარულო და გაუცხოებული ადამიანები პირქუშ და დაჭიმულ ატმოსფეროს ქმნიან. თავზარდამცემია, რომ ფილმში ამ სულიერ სიცარიელეს არა მარტო კინოკადრების მეშვეობით ვხედავთ, არამედ ვისმენთ კიდევ მას. მისი სახელი ანგარებაა, როგორც უსულობის თანამედვე რამ. ედუკის სინამდვილე - ბუნების სახე, ქალწულებრივი მიაშიტობა, სინრფელი, სილადე, თავისუფლება, უანგარობა, სიბრძნე - კონტრასტს ქმნის მუსიკის გულგრილად შემსრულებლებთან, ამ ხელოვნურ ადამიანებთან. საგულისხმოა ის კადრები, როცა მუსიკოსები ავტობუსით მიემგზავრებიან, ედუკი კი ბუნების ხმის მიყოლით მოკლედ გადაჭრის გზას. ის ფეხით უკვე მივიდა იქ, სადაც მუსიკოსები, თანამედროვე ეპოქის გაუცხოებული ადამიანები, ავტობუსით უფრო მოგვიანებით ჩამოვიდნენ. ედუკი ამაღლებულ გორაკზე დგას (ამით რეჟისორი თითქოს მის ალმატებულებაზე მიანიშნებს) და ხელს უქნევს ავტობუსით მიმავალთ. ეს ბუნება ესაუბრება მათ და ცდილობს, ამ უცხვით თავი შეახსენოს.

ეპილოგში ედუკი სათუთად იღებს ხელში, როგორც უძვირფასეს განძს, მუსიკოსების მიერ დატოვებულ ფირფიტას და... მისდა განსახიბვლელად, საპარადო, იაფფასიანი მუსიკა შერჩება ხელთ. და მყის ქრება ილუზია, რომ ღვთაებრივი მუსიკა, რომელსაც სოფელში ჩამოსული მუსიკოსები ასრულებდნენ, მათი სულის ხმა იყო - მათი დაფარული საგანძური. ეპილოგის მეორე ნაწილში ხელახლა იჩენს თავს მუსიკოსების სულიერი სიღატაკე. სახლის



თვითშეაჯანსაღის უიუი ოთარ იოსელიანის ფილმების მიხედვით

შემოსასველ ოთახში (ფართო პლანი) მივინყებულნი, უსარგებლო ნივთივით უდიერად არის მიგდებული კალათი, რომელშიც ტალახის შებენი დაბინძურებული ვაშლები აწყვია. ეს ქალწული ედუკის - ბუნების უძვირფასესი ძღვენია მუსიკოსებისადმი, თანამედროვე ადამიანებისადმი. ეპილოგშივე მოჩანს სოფლიდან ჩამოსული ქალიშვილი, რომელიც მუსიკას უკრავს, როცა მამა სახლში ბრუნდება. აქ მუსიკა, სამყაროს ღვთაებრივი ენა, მუსიკოსი ქალიშვილის ხელში უწონადოდ ქცეულა. რადგან მუსიკა მისთვის მხოლოდ საშუალებაა, რათა ისე და ისე სხვად იქცეს. არ ჰქონდეს ურთიერთობა მამასთან, რომელსაც, სავარაუდოდ, ენატრება და სურვილი აქვს მოინახულოს გვერდითა ოთახში „მუზიკირებით შემყობილი“ შვილი, თუმცა ამას ვერ ახერხებს.

მეტაფიზიკური ქაფი

ოთარ იოსელიანის „ღვინოშია ჭეშმარიტება“ მიხედვით უნდა იცხოვროს ისე, თითქოს გვერდითა ოთახში საყვარელი ბავშვი კვდება. ის ყოველთვის კვდება კიდევაც. ყოველთვის ვკვდები მეც.

ლევ ტოლსტოი, „დღიურებიდან“.

ოთარ იოსელიანის განურჩევლად ყველა ფილმში იგრძნობა ნუხილი, რომ ბავშვი კვდება ადამიანში, მაგრამ ფილმში „ღვინოშია ჭეშმარიტება“ არათუ მხოლოდ იგრძნობა დაფარული ნუხილი, ის ზედაპირზე ამოფენილი და პირველივე კადრში მოჩანს ბავშვი, რომელიც ლამის კვდება ყოფიერების შემზარავ ჩაკეტილობაში. ეს ბავშვი რომ რეჟისორ ოთარ იოსელიანში ცოცხლობს და მისი ალტერ ეგოა, იმითაც დასტურდება, რომ ფილმის დასასრულს, როცა იოსელიანის გროტესკულად დამახინჯებული პროტოტიპი ხელოვანისა ტოვებს შემზარავ, სულიერებისგან დაცლილ ყოფიერებას, ამავე მომენტში კადრში ჩნდება, თუ როგორი მღელვარებითაა ყურმიდებული ბავშვი და რა ჩუმი სიხარულით „ისმენს“ რეჟისორის საყვარელი ხატის, სიცოცხლის დიადი სიხარულის „მოძრაობას“, რომელსაც ფილმის ბოლო კადრში მინის მჭვირვალე ზედაპირზე წვიმის ნაკადის ჩანჩქერივით დაშვება გვიმჟღავნებს. ბავშვიც იმ განზომილებაში - უსასრულობასა და თავისუფლების სივრცეში გვეგულება, რომელშიც ოთარ იოსელიანის პროტოტიპი იმპრესიონისტული ელვარებით მოოჭვილი ზღვის უმშვენიერეს უსასრულობაში აფრიან ნავით - თავის შინაგან სამყაროში - სიმღერით გააღწევს.

თუ ფედერიკო ფელინის „ამარკორდს“ სიუჟეტი არ გააჩნია (ტრადიციული გაგებით) და მხოლოდ და მხოლოდ იმ ასოციაციებისგან იკვრის, რომელსაც გულის

მეხსიერების მოუხელთებელი და ნრფელი გზა უხილავი ფანრით სავალ ბილიკს უნათებს, ოთარ იოსელიანის „ღვინოშია ჭეშმარიტება“, ეს უსიუჟეტო ფილმი, გულის მეხსიერებას მიუყვება და იმ მისტიკური სითხე-დაფით იკვრის, რომელიც ერთდროულად გასაღებია და ყოფიერების ღრმად დაფარული საიდუმლოც. ეს ის მისტიკური სითხე-ღვინოა, რომელსაც ძალუძს, თავი დაგვალწვეინოს ყოფიერების ჩაკეტილი სივრცეიდან. და, თუმცა ფილმში ყველა პერსონაჟი სვამს ღვინოს, ანუ ის ყველგან მყოფობს, ეს ნიშნავს, რომ ყველა პერსონაჟს აქვს გასაღები. მაგრამ, როგორც საბოლოოდ ირკვევა, მხოლოდ ხელოვანი და ბავშვი იყენებენ ამ ჯადოსნურ სითხეს, იმ გასაღებს, რომელსაც ძალუძს, სამყაროს მშვენიერებას - მის უსასრულობას, თავისუფლებას, სიყვარულსა და ჰარმონიას გვაზიაროს. და გავიმეორებ, ამ უსიუჟეტო ფილმის უჩვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ პერსონაჟებს აერთიანებს არა თემა, არამედ ერთი სუბსტანცია - ღვინო. ის

აერთიანებს ადამიანებს, მისი წყალობით მათ ებოძათ სიყვარულის უნარი და სიმღერის ნიჭი, შესაბამისად, ის სამყაროს უჩინარი და მკერთი მისტიკური ძაფიცაა. ამ მეტაფიზიკური მკერთის გარეშე, მის გარეთა ყოფიერების ჩაკეტილი, აბსურდული სივრცის სიმბოლო - სათამაშო მატარებელი; ეს ნრეში ჩაკეტილი საგანი, უაზრად იმეორებს ერთსა და იმავე მოძრაობას და საზრისი არ გააჩნია. ამ ფილმში უამრავი პერსონაჟია.

მაგალითად, ასეთია ექსტრავაგანტური ვარცხნილობის მქონე გამოჩენილი მომღერალი ქალის ვაჟი, რომელიც, თუმც მდიდრულ სახლში ცხოვრობს, ლალია მაგრამ და მანანალებთან და მათხოვრებთან მეგობრობს. როცა ღვინის ბოთლს უტოვებს ადამიანებს, ის თითქოს ამით თავისუფლებას სთავაზობს მათ. რეჟისორი ყურადღებას გვამახვილებინებს ვეტერანის სახლის ფანჯრის თაროზე ბიჭის მიერ ყოველდღიურად დატოვებულ ერთ ბოთლ ღვინოს. ამ სახლის ფანჯრები სატუსალოს ასოციაციას ბადებს. გისოსებს მიღმა კი ვხედავთ ბავშვს, რომელიც ვეტერანის მუშაობის ფონზე კლასიკურ მუსიკას უკრავს. ამ კადრმა უნებურად გამახსენა ოთარ იოსელიანის გამონათქვამი საბჭოთა კავშირის შესახებ: „ზოოპარკის გისოსებში ვიყავით გამომწყვედეულები“. და, მიუხედავად ამისა, რეჟისორი ადამიანის გამოსახატავად არც ერთ ფილმში არ იშველიებს სოციალურ ფონს. ჩემი სუბიექტური აზრით კი, ციხის გისოსებიანი ფანჯრის კადრით ის გვეუბნება, რომ თანამედროვე სამყაროში ადამიანები თვითონ ქმნიან ციხეს საკუთარ თავში, რითაც ცხოველებს ემსგავსებიან. მეორე ეპილოგში კი მომღერლის ვაჟი წარუმატებელი სიყვარულის შემდეგ აპათიაში ვარდება. ეს აპათია გამოიწვევს იმას, რომ იგი მოხვდება თავისი მეგობარი მანანალების მიერ ცუდად ორგანიზებულ თავდასხმაში სუპერმარკეტზე, რის შედეგადაც ციხეში აღმოჩნდება, ციხიდან გამოსული კი უარყოფს თავისი ძველი ცხოვრების წესს, რადგან მიხვდა, საყვარელი გოგონასგან უარყოფა იმის შედეგია, რომ ცხოვრების სასტიკ და უაზრო თამაშს მხარი არ აუბა. ამიტომ იყო, რომ ჯერ თავისი ძველი მეგობარი მანანალა არ ჩაისვა მანქანაში, შემდეგ კი სპორტული ფეხსაცმელები მოისროლა და საზოგადოების ეტიკეტის შესაბამისად გამოეყო. ვაჟი არსად აღარ ტოვებს ღვინის ბოთლს - ეს მეტაფიზიკური ხატია, ფაქიზი მინიშნება იმაზე, რომ მან უარი თქვა, იყოს პიროვნება - იგი უსახო მასას შეუერთდა. ფილმის ბოლო კადრში მოჩანს ვეტერანის ფანჯარა, სადაც ვაჟი ყოველდღე თავისუფლების სიმბოლოს - ერთ ბოთლ ღვინოს ტოვებდა, გისოსებიანი ფანჯარა ახლა კი უკვე აგურის კედლითაა ამოშენებული, რომლის მიღმიდან ძლივსა ჩაგვესმის თუ როგორ უკრავს ბავშვი ბახის ღვთაებრივ მუსიკას.



► დასასრული. დასაწყისი „ლს“ №16



ოლანი ბინაძე

ბედის ირონია

ბედის ირონიის არსებობას ხანდახან ვი-  
ფერებხარ. სიტუაციას გააჩნია. მაგალი-  
თად, მაშინ, როცა კოლოფში ერთადერთი  
ღერი სიგარეტი მაქვს და ისიც კოლოფიდან  
ამოღებისას ძირს მივარდებო.

– არ არსებობს! – ვამბობ უკვე არსებულ,  
მომხდარ ფაქტზე და ბედის ირონიაც თით-  
ქოს თავისით ჩემს წარმოდგენაში ჩნდება.  
მალაღობა ქალია. სალონში დავარჯხნული თმით  
და ფრჩხილებზე ნითელი ლაქით. აღმატე-  
რად ილიმება. ლოყაზე ხალიც აქვს. მთელ  
ირონიას სწორედ მასში მალავს.

– სიგარეტი თუ ამომიტან, ტელეფონს  
გათხოვებ, – ვეფრჩხები ჩემს უმცროს დას.  
იცის, რომ ტელეფონს არავითარ შემთხვევაში  
არ ვათხოვებ. მეორე სართულის აივნისადა  
ეზოში ჩადის. ძირს დავარდნილი სიგარეტს  
იღებს და აივანზე ჩემთან ბრუნდება. სიგა-  
რეტს ხელისგულზე მიდებს და მიდის. რა  
გულუბრყვილოა! ბავშვური ანგარება სულ  
არა აქვს.

ვუკიდებ. ვენევი. კვამლის ხეულები ჩემ-  
გან გარბიან. ყველა მათგანი მე გავაჩინე. და  
ახლა... უმადური შეიღებებით არიან!..

მობილურით ელექტრონულ ფოსტას ვა-  
მონებ. გამომცემლობიდან ერთი წერილია.  
ნიგნს ვერ დაგიბეჭდავთო.

წუხან.  
კი, როგორ არა (ფეხებზე ჰკიდიათ).  
ბედის ირონია ფეხს ფეხზე იდებს. იცინის.  
ისიც ეწევა. მუხლებზე დადებული სიგარეტის  
კოლოფი სიგარეტის ღერებით სავსე აქვს.

თბილისში ორი კვირის წინათ ჩამოვედი.  
ან ცოტა უფრო ადრე. არაფერს ვითვლი ნიგ-  
ნის გამომცემაზე მიღებული უარის გარდა.  
ჯერ ოთხია.

სამი წელი მოსკოვში ვცხოვრობდი.  
ოლონდ ნიგნი ამაზე არ დამინერია. ალბათ,  
შეცდომა დავუშვი. ხალხი ასეთ ამბავს უფრო  
დიდი ინტერესით ნაიკითხავდა. „ასეთ ამბავ-  
ში“ ვგულისხმობ მტრის ქვეყანაში ნასული  
ემიგრანტის დრამას.

მოსკოვში ცხოვრება მომწონდა მანამ,  
სანამ ესეც რუტინულ ცხოვრებისეულობაში  
არ გადამეზარდა. ამიტომ დავბრუნდი. თან  
სამსახურიდანაც გამომიშვეს. ბოლო უფრო  
რეალური მიზეზია. თავისთავად.

სამი წელი ზედმეტად დიდი დრო გამოდ-  
გა თბილისის შესაცვლელად და ზედმეტად  
ცოტა იმ გაუცხოების შესამჩნევად, რომე-  
ლიც თურმე ოჯახის წევრებს ჩემ მიმართ  
გაუჩნდათ.

ჩამოსვლის პირველივე დღეს ძველებუ-  
რად შემწვარი კარტოფილის ქაშა მოვინდომე.  
დედამ: სირცხვილიაო, მამა დაეთანხმა. იმ  
სალამოს ქათმის სალათი ვჭამეთ.

უმცროსმა დამ საძინებლის კარზე დამი-  
კაქუნა. მანამდე ასე არასდროს მოქცეულა.  
ყავას ხო არ დაღვეო, სტუმარივით მკითხა.  
თავიდან ვიფიქრე, რამდენიმე დღე გაგრ-  
ძელებოდა ასე. არასწორად გავთვალე.  
დედა და მამა ჩემი თანდასწრებით ოჯახურ  
პრობლემებზე საუბარს წვეტდნენ, ჩემი  
და არა და არ შეეშვა ამ მოკრძალებულ  
დაკაკუნებებს.

ჯერ მეშინოდა. მერე მივხვდი, რომ ნიგნი  
სიცრუეზე მაინც არ დამინერია. ადამიანი  
ბუნებით მარტოსული არსებაა. ადამიანს რაც  
უნდა წაართვა, მარტოობა ყოველთვის მას  
დარჩება. ამიტომაც შეუძლია ბედის ირონიის  
დამარცხებაც.

ოლანი ბინაძე დაიბადა ჭიათურაში.  
2017 წელს დაამთავრა ჭიათურის მე-2 საჯარო სკოლა. ამჟამად სწავლობს  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსზე.

წერს პატარაობიდანვე, 7-8 წლის ასაკიდან. თავიდან უბრალოდ იგონებდა ამ-  
ბებს, რომლებიც უნდოდა თავს გადახდენოდა. შემდეგ დაიწყო იმაზე წერა, რაც  
მის გარშემო ხდებოდა, რასაც განიცდიდა და რაზეც ფიქრობდა.

მისთვის ყველაზე საინტერესო თემები თვითონ ადამიანები არიან – ნაცნობები  
თუ უცნობები, შთაგონებას მათგან იღებს.

მისი ყველაზე ძვირფასი მოგონებები უკავშირდება მშობლიურ ქალაქს, სადაც  
პირველი მოთხრობა დაწერა და პირველი მკითხველები შეიძინა.

რამდენიმე თვის წინ saba.com.ge-ზე გამოაქვეყნა პირველი ელექტრონული  
ნიგნი „ქვიშის სახლის ზღაპარი“; მოთხრობები გამოქვეყნებული აქვს კრებულში  
„დებიუტი“, ჟურნალ „ცისკარსა“ და „ლიტერატურულ გაზეთში“.

დღეს ოლანი ბინაძეს დებიუტი აქვს „ლიტერატურულ საქართველოში“.

ეს ჯერ ბოლომდე არ გამოდის.  
დროის ამბავია.  
დასაკარგი კიდევ დამრჩა.  
მერე გამომივა.

ნიგნს რომ არ მიბეჭდავენ, შეიძლება იმის  
ბრალიცაა, რომ გამომცემლობებთან ურთი-  
ერთობის არანაირი გამოცდილება არა მაქვს.  
თითქმის ყველა მოქმედ საგამომცემლო სახლს  
მივმართე, რამდენიმე ჟურნალსაც მივწერე,  
სადაც წლების წინათ ჩემი რამდენიმე მოთხ-  
რობა დაიბეჭდა, მაგრამ საკმარისად ცნობილი  
არა ვარ რომელიმე მათგანის მხრიდან მსგავს  
რისკზე ნასასვლელად.

აქ თურმე ახალი წესია: თუ უკვე არ  
გიცნობს საზოგადოება, არაფერს, და მით  
უმეტეს ნიგნს, არ გამოგიქვეყნებენ, ალბათ,  
ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა. ეს  
წესიც იმ ძუქნა ბედის ირონიის მოგონილია.  
ხომ ვამბობდი, ნამდვილი კახპაა!..



ერთ საღამოს მეგობრების სანახავად  
წავედი. facebook-იდან უკვე ვიცოდი, ვის  
რამდენი შეყვარებული ან შვილი ჰყავდა.  
მათ სამსახურებზე და ამ სამსახურებში მათ  
თანამდებობებზეც ვფლობდი ინფორმაციას.  
ასევე ვიცოდი მათ მიერ საზაფხულო თუ  
საზამთრო არადადეგების, კონკრეტული  
დღესასწაულების კონკრეტულ რესტორნებში  
აღნიშვნის თუ დაბადების დღეზე მიღებუ-  
ლი თითოეული საჩუქრის შესახებ. მათთან  
შეხვედრისას ისეთი განცდა მქონდა, რომ  
არაფრის კითხვა რაიმე სახლის გასაგებად  
საჭირო აღარ იყო. მაინც ვიკითხე. სხვაგვარად  
ეგრევე ნამოსვლა მომიწევდა.

მათი მოყოლილი ყველა ამბავი ინყებო-  
და კითხვით: „გახსოვთ?“ და მთავრდებოდა  
ფრაზით: „მანდ კიდევ უნდა წავიდეთ.“

არც ერთ ამბავში რომ არ ვიყავი, ეგ არ  
მწყენია. ჩემზე რომ არაფერი მკითხეს – ეგ კი.  
სახლში მოვედი თუ არა, ოთახში ჩავიკე-  
ტი. მეგონა, ადრინდელივით დედა ან მამა,  
ან ორივე ერთად მოვიდოდა და მკითხავდა,  
მათთან საღამოს რატომ არ ვჭამ.

ვიცდიდი.  
არ მოვიდა არც დედა, არც მამა. არც  
ორივე ერთად.

სამსახურის მოძებნა ვცადავ. ყველას  
მხოლოდ დამლაგებელი, მოლარე ან კონ-  
სულტანტი სჭირდება. მეც მჭირდება ფული.  
თან სასწრაფოდ. თორემ დანაზოგი უკვე მი-  
თავდება. ჩემი დანაზოგის ძირითადი ნაწი-  
ლი მოსკოვში ბოლო ორ თვეში დავხარჯე.

სანამ ახალ სამსახურს ვიშოვნოდი, რამით  
ხომ უნდა მეცხოვრა. მერე ხელი ჩავიქნიე  
და აქ ჩამოვედი. დედას და მამასაც, მგონი,  
ჩემი გამოგზავნილი ფულიდან ბევრი აღა-  
რაფერი დარჩათ. არ მიკითხავს. ვგრძნობ.  
ჭამის დროს მაგიდაზე დანყობილი თხლად  
დაჭრილი პური ამის ნიშანია.

ჩემს ქართველ მეგობარს ველაპარაკე,  
რომელიც მოსკოვში გავიცანი. ბილეთს გი-  
ყიდი და ისევ აქ ჩამოვიდი.

– არაა, ჯერ ბოლომდე უნდა მივანეკე,  
– ვუთხარი ისტერიული სიცილის ფონზე.  
თან ფრჩხილებზე წასმულ ლაქს დავუწყე  
თვალიერება. ადრე მსგავსი რალაცებითვის  
სულ არ მეცალა. რაც აქ ჩამოვედი, მგონია,  
რომ ჩემ გარდა ყველა დაკავებულია. დედა  
და მამაც კი, რომლებიც არსად მუშაობენ,  
ჩემზე მოუტყულები ჩანან. ჩემს მეცხრეკ-  
ლასულ დაზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ.  
სამეცადინო მაინც აქვს.

– ევა, არ დაიკარგო, რა, შემეხმინე ხოლ-  
მე, – მთხოვასავით ალექსმა და ვიდეოზარი  
გათომა. უკვე ხუთი წელია მოსკოვშია. სა-  
ქართველოში მარტო მაშინ ჩამოვა, როცა  
დედამისი მისთვის გოგონის გარიგებას თავს  
დაანებებს. ანუ არასდროს. ან იმ შემთხვე-  
ვაში, თუ ეს გოგო მე ვიქნები...

ვერ ეღირსება...  
ალექსი მხოლოდ მეგობარია. სამშობლო-  
ში მისი დასაბრუნებელი ლუზა ვერ ვიქნები.  
ვერავის ლუზად ვერ გამოვდექი.  
ბედის ირონია ქარიშხალივით ქალია.

ბავშვობაში დედას და მამას ჩემს მოთხ-  
რობებს ვუკითხავდი ხოლმე. მერე ისეთ  
რალაცებზე წერა დავიწყე, რისი ხმამალა  
გამოთქმაც მიჭირდა. თავიდან ეუცნაურათ  
მშობლებს ეს ამბავი. მერე ცოტა ეწყინათ.  
მერე, მგონი, საერთოდაც გადავიწყდათ.

ჩემი ნიგნის ნაბეჭდი ფაილი გავუგზავნე.  
არც გაუხსნიათ. რომ გაეხსნათ, ნახავდნენ,  
რომ შექსპირის „მეფე ლირის“ დაკომპოზებული  
ტექსტია და მკითხავდნენ, რატომ შემეშალა  
ფაილები ან რამე მსგავსი.

ოსტატურად მოვიფიქრე.  
აბა რა. მარტო ბედის ირონია კი არ ეშ-  
მაკობს ამქვეყნად.

ზუსტად გამოვთვალე. ხვალ ერთი თვე  
გახდება, რაც აქ ვარ. მეც გავხდები. მგონი,  
ვდარდობ, ნიგნს რომ არ მიბეჭდავენ და მხო-  
ლოდ წონაზე მეტყობა.

სხვათა შორის, ბედის ირონიაც გამხდარი  
ქალია. ოლონდ ამით თავმომწონებო. აი, იმ  
გოგონებზე, რომ ჭამენ და არ სუქდებიან.

ბედის ირონია იმდენ რამეს ჭამს, დათე-  
ლაც კი ძნელია. ყველაზე გემრიელი კერძი  
მაინც თავდაპირველი ურწმუნოება მგონია  
მისი არსებობის მიმართ, რომელიც დრო-  
თა განმავლობაში მისი არსებობის უტყუარი  
მტკიცებულება ხდება.

ჰო, ასეა. ბედის ირონია დანაშაულს ჩა-  
დის, საშიხლებს ტოვებს და მაინც არავინ  
აკაუებს მას.

ამ ყველაფერზე ფიქრმა დამალა. ხან-  
დახან სიცოცხლე ზედმეტად რთულად სა-  
გუებელი ხდება, ხანდახან შესაძლებლად  
საგუებელი და მხოლოდ ის მაინტერესებს,  
ოდესმე მარტივდება? სიცოცხლე მარტივი  
არც მაშინაა, როცა ასეთ კითხვებს არ სვამ.  
გამოდის, მსგავსი აზრებისთვის დრო საერ-  
თოდ არ გაქვს. ბედის ირონიას ხომ არ ექნება  
პასუხი ამ კითხვებზე? მას ხომ სიგარეტებით  
სავსე კოლოფი აქვს. გამუდმებით ეწევა და  
კოლოფი მაინც არ ცარიელდება.

ბედის ირონიაა, რა. ლამისაა ცდუნებამ  
მძლიოს და მასთან მივიდე. ბევრი აღარ მიკლია.

აივანზე ვსხედვართ ცხლს აწყურებო. მერე  
თვალეში ვუყურებ:  
– ერთი ღერი მომანევიწე.  
გ ა დ ა ი ხ ა რ ხ ა რ ა .

თბილისში ერთი თვის წინათ ჩამოვედი ან  
ცოტა უფრო ადრე. არაფერს ვითვლი ნიგნის  
გამომცემაზე მიღებული უარის გარდა.

მობილურით ელექტრონულ ფოსტას ვა-  
მონებ. გამომცემლობიდან ერთი წერილია.  
ნიგნს ვერ დაგიბეჭდავთო.

წუხან (თითქოს ჩემი ნიგნის პანაშვილია:  
სანყალი რა ახალგაზრდა მოკვდა!)  
ბედის ირონიაც მოვიდა სამძიმრის სათ-  
ქმელად. სიგარეტი თავისით შემომთავაზა.

– ღმერთო, დღეს მერამდენე ღერს ეწევი?  
– აპროტესტებს დედა.

– არ ვიცი, – გულწრფელი ვარ. არაფერს  
ვითვლი ნიგნის გამომცემაზე მიღებული უარის  
გარდა. ათია!!!

დღეს, თერთმეტ საათზე, ჩემი თვითმფ-  
რინავი აფრინდება.

აეროპორტში ალექსი დამხვდება.

666

...ალარ დამირეკო-მეთქი, ვუთხარი და  
ალარ დაურეკავს. განა მართლა „ალარ დამი-  
რეკო“ ვიგულისხმებ. ერთხელ თვითონ მითხ-  
რა, ქვეტექსტების ნაკითხვა მიჭირსო. ახლა  
დამიმტკიცა – კი არ „უჭირს“, არ შეუძლია.

ქუჩაში დავინახე. გაჩერებაზე იდგა და  
ხელში მობილურს ათამაშებდა. ერთ დროს  
თმაზეც მეთამაშებოდა ამ ხელებით. ვერ ვი-  
ტან, როცა თმაზე მეხებიან, მაგრამ, მგონი,  
ის გრძნობა უფრო ძლიერია, რომლის გამოც  
მისი ხელახალი შეხება მინდა.

შორიდან ვუყურებდი გაჩერებაზე მდგარს  
ქარისგან აბურღული თმით და ჩემგან წას-  
ვლის შემდეგ, ვშიშობ, უჩვეულოდ წყნარს.  
მინდოდა, მივსულიყავი და მეტყვა, ბიჭო,  
ოდნავ მაინც არ გეწყინა- მეთქი ჩემთან და-  
შორება? მაგრამ არ მივსულვარ.

ხელში მობილური ეჭირა. დარეკვას აპი-  
რებდა. დარეკვაზე მზრუნველად მიყურებდი.  
დარეკვაზე მზრუნველად მიყურებდი.  
ჩემთან – არა.

ცხოვრებას ძველებურად ვაგრძელებ,  
ოლონდ ხანდახან, როცა მასთან ყოფნა გან-  
საკუთრებულად მინდება, ვისხენებ, რომ ამ  
სურვილის დაუკმაყოფილებლობის სურვილი  
ჩემი და მისი მოუცვლელია აღარაა და ეს  
ცოტა მაფრთხობს. მოუცვლელია შეიძლება  
ემველოს, აი იმას, რაც ჩვენ დაგვემართა,  
ნეტავ, საშველი თუ აქვს. ციცი-ში უნდა  
მოვიძებნო: „როგორ განვკურნოთ სიჯიუტე?“  
აქედანვე ეტყობა, კიბოსავითაა. თავის დრო-  
ზე თუ არ აღმოაჩინე და ებრძოლე, მერე  
დროს სულ ტყუილად დაკარგავ. და ნეტავ,  
ჩვენ რას ვაკეთებდით? ჩვენ დროს ტყუი-  
ლად ვკარგავდით ერთად. ახლა ცალ-ცალკე  
ვკარგავთ.



გამაფრთხილა, დღევის დროს ზღვაში  
არ შეხვიდეთო. ზღვა ისე მიყვარს, თუნდაც  
მღელვარე, იმნამს ფეხებზე მეკიდა მისი გაფ-  
რთხილება.

ტალღამ რამდენჯერმე ამომატრიალა.  
ეტყობა, ნაპირიდან აღარ ვჩანდი. შეეშინდა.  
ყველა კაცი მშიშარაა, რომელსაც უყვარს.

იმ საღამოს ბევრი ვიყვირეთ. თავიდან  
მხოლოდ მშვიდი ღიმილით ვუსმენდი, მე-  
რე ვეღარ მოვიმინე და ყველაფერი ვთქვი,  
რაც არ უნდა მეთქვა, დაწყებული „შენ ვერ  
მიმითითებ, როგორ მოვიქცე“, დამთავრებუ-  
ლი „თუ არ მოგწონს, შეგიძლია, საერთოდ  
ნახვიდე“-ით.

ჯერ უძრავად იდგა. ეტყობა, ფიქრობდა,  
მართლა ნასულიყო თუ არა. ჯერაც ის ბიჭი  
იყო, რომელსაც სიყვარული ასუსტებდა. შე-  
უმჩნეველი ნაბიჯი გადადგა ჩემგან მარცხნივ

ჩემთვის შესამჩნევად. წასვლას აპირებდა, სულ ტყუილად.

მერე უფრო მკვეთრად მიაბრუნა ტანი, თვალბრწყინი შემომხედა ძალიან, ძალიან ნაწყენმა და წავიდა. ოღონდ მართლა.

მაშინ მის ზურგს მივაძახე, აღარ დამირეკო-მეთქი. მის ზურგს მივაძახე, თვითონ მას ხომ არა.

ერთი თვე გავიდა, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ აუცილებლად დარეკავს, მომწერს ან სულაც ბოდიშის მოსახდელად მოვა. ბოდიშს იმიტომ მომიხდის, ამდენხანს რომ არ გამოჩნდა. არადა, ორჯერ გამოჩნდა. ჯერ მობილურით - გაჩერებაზე, მერე სავაჭრო ცენტრში - ვილაც ს ხ ვ ა გოგოსთან ერთად. იმ გოგოს თმას დავაცლი სათითაოდ. მერე ეფეროს მელოტ თავზე, აბა, როგორია.

გაბრაზებული ვარ. არადა, რომც მოვიდეს, მგონი, აღარ მივიღებ. არა, არა! ვიტყუები. მოვიდოდეს და მერე ვიცი, რას ვიზამ.

ერთი დამეგება დაუფიქრე, მე მივაღ-მეთქი, მაგრამ ისევ ის „კიბო“ მაქვს და განკურნებაზე ჯერაც არ დამი-სარჩევ-ავს.

უფანტაზიოს ისიც ზღვაზე წაუყვანია. ფოტოები ვნახე. სანაპიროზე მზეს ეფიცებინა. ნეტავ, ჩემს დროსაც ყოფილიყო ასეთი წყნარი ზღვა.

საერთოდ, ზღვაზეც ნაწყენი ვარ. წავალ და მარტივად დავაბრალებ ყველაფერს მას. ენის შემოუბრუნებლად აიტანს. ადამიანს კი არ ჰგავს.

იმედი მქონდა, მალე დაშორდებოდნენ. იმედი მქონდა, მტკიცებულებები - არა.

ზღვიდან სადღაც სხვაგან წავიდნენ. ეტყობა, ეს გოგო ჯიუტი სულ არაა.

მათ რომ ვუყურებ, ერთი დასკვნა გამოვიტანე: არსებობს საერთო ყოფილი შეყვარებულის ახალ შეყვარებულსა და ორჯერ ორის პასუხს შორის. ორივე სრულიად ჩვეულებრივი, ბუნებრივი და მოსალოდნელია, უბრალოდ, შენ რაღაც მომენტში ფიქრს იწყებ სიტყვით: „დავეუშვათ...“ და შედეგად ათასობით ვარიანტი ემეება ფიქრად შენს გონებაში. ყველაზე სასიამოვნო მაინც ის არის, რომელიც სიძულვილის კარგ საბაბს გაძღვეს. მე თუ მკითხავთ, ისე, სიძულვილისთვის ისიც კმარა, ვილაც შენ შემდეგ რომ გამოჩნდა შენი ყოფილის ცხოვრებაში. უნდა დავცლიათ მისთვის. იქნებ, მერე დაერეკა...

ავტობუსში ხელიხელჩაკიდებულები ამოვიდნენ. ორივემ დამინახა. იმან მიცნო. გოგომ-ვერა. დამპალი! არც კი ვუხსენებია მასთან.

როგორ ხარო, მკითხა. გამხდარი მხრები ავიჩიქე. მგონი, ხუთი კილო კიდევ მომაკლდა იმნამს.

ბილეთები აიღეს და უკან გადაინიეს. მერე მათთვის აღარ შემიხედავს.

ჯერ პირველივე გაჩერებაზე ჩამოსვლა მინდოდა. მერეც მინდოდა, ოღონდ არ ჩამოვსულვარ.

სახლში რომ მივიდოდი, სულ იმას ვეკითხებოდი ჩემს თავს, ჩემთვის რატომ არ იბრძოლა-მეთქი, ასე მალე გოგოს თავს ვინ ანებებ-მეთქი, მაგრამ, ეტყობა, დღეს ასე ხდება.

გადაწყვეტილება მივიღე: ერთი კვირის წინ რომ მომწერა, იმ ბიჭს კინოში წავეყვები. თან რალაცნაირად მშვიდი და განონასწორებული ჩანს. წესით, უფრო დიდხანს „გაქაჩავს“.

### გამარჯობა, ზაქონო ყორწყისებო!

სასონარკვეთილი თვალბრწყინი იდგა შუა ეზოში ბატონი გივი და ამ სასონარკვეთილ თვალბრწყინს უზარმაზარი კორპუსებიდან დაშვებულ ჩრდილს არ აშორებდა. ჩრდილი პირდაპირ მის ციციქნა ბოსტანს ფარავდა და ირგვლივაც ისეთი სიბნელე იყო, თითქოს ვილაცამ ცა ქვით ნაგები შენობებით გადახურაო, ირგვლივ იმხელა შენობები იყო, ბატონი გივი ფიქრობდა, ხალხის წარმოადგენა ცის მიუწვდომლობაზე ერთბაშად გაქრაო. მოწყენილი ჩამოჯდა ხის სკამზე და ერთხელ კიდევ შეხედა ჩრდილის გამჭვირვალე გორგალს. მოსლოდნელად მომატებული სიბნელე უკვე საკუთარ თვალბრწყინს დააბრალა და გაიფიქრა: - ყველაფერს ვკარგავ.

პირველად რომ მიაკითხეს ბატონ გივის, თავაზიანად აცნობეს მომავალი მშენებლობის შესახებ და ადგილის დატოვების სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია შესთავაზეს. ბატონმა გივიმ არაო. იმათ - მაინც კარგად დაფიქრდითო. ბატონი გივი არ დაფიქრებულა.

მეორედ რომ მიაკითხეს ბატონ გივის, კატეგორიულად მოსთხოვეს ტერიტორიის დათმობა, სხვა ყველა უკვე დავითანხმეთო. ბატონი გივი ცოტა გაბრაზდა სხვებზე, მაგრამ ზრი მაინც არ შეიცვალა. არსად წავალო. ოჯახის წევრებიც არ ჰყავდა, რომ გადაეფიქრებინათ მისთვის.

მესამედ რომ მიაკითხეს ბატონ გივის, დაემუქრნენ, თუ აქაურობას არ დატოვებთ, მშენებლობას უახლოეს დღეებში დაიწყებთ და რაც მოხდება, იმაზე პასუხს არ ვაგებთო. ბატონმა გივიმ, კარგო.

სამ დღეში მშენებლობა დაიწყო.

ქუჩა ერთიანად გაიმტვერა. საშინელი ხმაური იდგა ხოლმე და უფრო კი არ იდგა,



თითქოს სათითაოდ მიდიოდა ყველასთან და ყურში უხეშად ჩასძახოდა აქ ვარო.

ბატონი გივი მთელი დღე სახლში იჯდა. პენსიის ასაღებად უთენია მიდიოდა და პენსიასთან ერთად, შიგადაშიგ პროდუქტებთან ერთად, მალევე ბრუნდებოდა უკან.

აუტანელ ხმაურში იჯდა ფარდაჩამოფარებულ ფანჯარასთან, ძველ მაგნიტოფონზე ქართულ „მრავაუმიერს“ უსმენდა და იმ ერთ ჟამზე და ერთ ქალზე ფიქრობდა, ოდესღაც რომ უყვარდა.

ერთი რაღაც ადარდებდა მხოლოდ იმ მომენტში - რატომ მისთვის არ ვიბრძოლეო. და ერთი რაღაც ეამაყებოდა მხოლოდ იმ მომენტში - სახლი ხომ მაინც არავის დაუთმოეო.

ნეტავ, ამ ორის გადაწყველება შეძლებოდა.

გამხდარმა გოგონებმა ჩაუარეს ბატონი გივის სახლს. მანამდე მომრგვალებულაივნებიან კორპუსებთან იდგნენ და ამბობდნენ, რა ლამაზიაო. ბატონი გივის სახლს რომ შეხედეს, სიცილით დაიხოცნენ, კონტექსტიდან ამოვარდნილს ჰგავსო. კისკისით გააგრძელეს გზა.

ბატონი გივი შუქჩამქრალ ოთახში ფანჯარასთან იდგა და გარედან არ ჩანდა. ერთი გაიფიქრა, გოგონებს ხომ არ დავენიო და ვეჩხუბოო, მაგრამ მიხვდა, ასეთი საქციელი უსაქმოდ დარჩენილი მოხუცის სასონარკვეთილი მცდელობა იქნებოდა საკუთარი არსებობის სხეებისთვის შესახსენებლად და შეეშვა. იმ ღამით საშინლად ეძინა.

კორპუსის მშენებლობა რომ დასრულდა, ბატონი გივი ძველი მეზობლების დაბრუნებას ელოდებოდა. ცოტა ნაწყენი იყო მათზე, მაგრამ მაინც. ალბათ, ახალ ბინებში რომ შესახლდებიან, ნიშნის მოგებით დამიწყებენ ლამაზაკს, რატომ შენც ჩვენსავით არ მოიქეციო.

არავინ დაბრუნებულა. ვილაც კოსტუმინი და ლამაზაკებიანი ადამიანები მო-

ვიდნენ პრილა მანქანებით. ბატონი გივი ვერავის ცნობდა. მათი გაცნობა უნდოდა, მაგრამ დილაადრიან მიდიოდა ყველა და გვიან ბრუნდებოდა. თან აბა, მათთან რაზე უნდა ელაპარაკა?

ერთხელ შემთხვევით ძველი მეზობელი შეხვდა ავტობუსში. ბატონმა გივიმ ჰკითხა სად დაიკარგეო, რატომ აღარ დაბრუნდიო ახალ ბინაში. მის მეზობელს გაეცინა, მე მანდ ვინ შემიშვებდა, ფულის ერთი ნაწილი, რაც მომცეს, ქირაზე ერთ წელს ძლივს მეყო, მეორე ნაწილს ახლაც ველოდებიო. ბატონმა გივიმ გონებაში დაითვალა, უკვე ოთხი წელი იყო გასული.

ძველმა მეზობელმა დამშვიდობებისას უთხრა, მაგარი კაცი ხარ, გივი, სახლი რომ არ დათმეო და ავტობუსიდან ჩავიდა. ბატონ გივის გაახსენდა, რომ ადრე ყველა ასე უბრალოდ სახელით მიმართავდა. ეს ბატონობა მის ცხოვრებაში იმ კორპუსების მშენებლების გამოჩენიდან დაიწყო. კორპუსებიც ასე გაბატონდნენ, გაიფიქრა გულში და უბანში შესვლისას მათ უხმოდ მიესალმა:

- გამარჯობა, ბატონო კორპუსებო!
- ბატონ გივის გაუმარჯოს! - იხუფლეს

თითქოს ერთხმად. მათი სალამი ბატონ გივის მხრებზე სეტყვის ბურთებივით მოხვდა.

ბატონ გივის მიანდა, ჩემს ცხოვრებაში ამალეღვებელი აღარაფერი მოხდებოდა. მაგრამ ერთ დღეს ისევ მივიდნენ ვილაცები და ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ ადგილის დატოვება სთხოვეს, გასართობი პარკი უნდა ავაშენოთ კორპუსის მცხოვრებლებისთვისო. ბატონმა გივიმ, მაგათ გართობა რა იციან, მთელი დღე სამსახურებში არიანო. დრო მისცეს მოსაფიქრებლად. არ უფიქრია.

ერთი კვირის თავზე გასახლების საბუთით მიაკითხეს. ბატონმა გივიმ - ხვალ დავცლი სახლსო.

„ხვალ“ მისულებს ბატონი გივი სახლში არ დახვდათ. ეზოში ამოთხრილი ორმო იპოვეს. ორმოში ბატონი გივი იწვა მკვდარვით. თურმე მკვდარიც.

ქალადი ეჭირა ხელში. ზედ ეწერა, მინის დაყრა არ დაიზაროთო ჩემთვის. თქვენი საქმის ნახევარი ხომ გავაკეთეო უკვე.

მთელი ღამე თხრიდა ბატონი გივი მინას. თან ფიქრობდა, რა მესაკუთრეაო ადამიანი, ყველაფერი თავისთვის უნდა: მინაც, ფულიც, წარმატებაც, სხვა ადამიანიც. მეც მესაკუთრე ვარო, ოღონდ მესაკუთრე, რომელსაც საკუთრება აღარ დარჩაო. რა საშინაო ადამიანი, რომელსაც ველარაფერს წაართმევო. მე ახლა საშიში ვარო...

თხონვა არ შეუსრულეს. მისი ცხედარი რომელიღაც სასაფლაოზე წაიღეს და ნაჩქარევად გათხრილ საფლავში ჩააგდეს. ნაჩქარევადვე მიაყარეს მინა.

პარკის გაშენებას რამდენიმე თვეში მორჩნენ. არავის მოუხაკლისებია ბატონი გივი თავის სახლიანად. მხოლოდ კორპუსები დარჩნენ საღმის გარეშე, მაგრამ მათი ბატონობისთვის ამას ხელი არ შეუშლია.

მხატვარი მარი კაპანასკი

## ლიზა აბრალეძე ლიონიკა ჯეჩაძის, თითქოს სა ნილას იხსნის

ვინმემ რომ მითხრას, შენი ცხოვრება ორი სიტყვით აღწერო, ვეტყვი, ეს არის ტყვილიანი სიხარული-მეთქი. როგორ? ზოგჯერ ვგრძნობ, რომ თითქოს მივალნი ბედნიერების მუდმივ შეგრძნებას, მაგრამ მერე ვხვდები, თურმე ვცდები, რადგან ჩემში ისევ ჩამალულია ტყვილი და ნუხილი ერთდროულად.

გულზე მშვიდი ტალღებით მედება სევდა, თითქოს ამ სიმშვიდეში ვიბადები და შემდეგ ბოქარ ტალღებში ვკვდები, როგორც სიცოცხლის იისფერ მტვერს მოკლებული ადამიანი. ხშირად ვგრძნობ, როგორი სიჩუმეა ჩემ გარშემო, თითქოს ყველას დავავიწყდი და ყველა დამავიწყდა.

დღეს პორტში გავედი. სხვადასხვა სიდიდისა და ფერის გემები აღამაზებდა იქაურებს. სანაპიროზე მოგნახე ჩვენი საყვარელი ადგილი - პირდაპირ გემებს და ზღვას გადააჟურებს, გახსოვს?

რბილი, რძისფერი განცდა მქონდა. მეგონა, ფილმის გმირი ვიყავი, გუშინ თუ ჩემ ირგვლივ ცივი სიჩუმე იყო, ახლა სასიამოვნო მელოდია უკრავდა. ვუყურებდი ზღვას, მზეს, თოლიებს...

გნატრობდი...

ზღვის ზედაპირს ოქროსფერი მზე უახლოვდებოდა... ყვითელი ბურთი წელ-წელა იწყებდა ჩასვლას. ვიჯექი მშვიდად და მხოლოდ ამ საოცარ მომენტზე მინდოდა მეფიქრა. სითბო მეღვრებოდა სხეულში.

დიდი ხანია, აღარსად ჩანდი...

შემოდგომის ნარინჯისფერი ფოთლები ცვიოდა ხიდან. მენატრებოდა...

მეგონა, თუ შენზე ბევრს ვიფიქრებდი, არ დავიწყებდოდი. ჩემი არსებობა შენს მეხსიერებას მივადი უხილავი ძაფებით. სანამ მე შენს გონებაში ვარ, ე. ი. ვცოცხლობ, ვარსებობ და რაღაცას ვნიშნავ. როგორც სიკვდილის, ისე მეშინოდა, არ დაგეხურე, ნაკითხული წიგნივით. მერე თაროზე შემომდებდი და მტვერი დამედებოდა, შენ შინაარსიც დაგავიწყდებოდა და წიგნის არსებობაც. ვიცხოვრებდი შენი არსებობის რუხ თაროზე ასე უსულო, უტყვი და უსიცოცხლო, ისევე როგორც ჩემზე მოგონებები შენს გონებაში.

ჩვენ ვართ ქალი და მამაკაცი, ორივე სხვადასხვა მხარეს მომზირალი. ქალს თავი კედელზე მოუდია სევდიანად, ხელები კი მოკვდილ მუხლებზე დაულაგებია. მამაკაცს ფეხი ფეხზე გადაუდია და ხელებში ჩარგული თავი ძირს დაუხრია. სიჩუმეში მხოლოდ ჩვენი სუნთქვა ისმის და ამ სიჩუმეში დაძაბულობით იელინთება, იელინთება, იელინთება და იესება ჰაერი. ეს მართლაც სისხლის გამყინავი დღემილი იყო.

ვისხედით რამდენიმე წუთით ასე და ვუყურებდით ცარიელ სივრცეს. ჩვენ ორივე დარწმუნებული ვიყავით, რომ არცერთი ვიტყოდით ერთ სიტყვასაც კი. ჩვენ ორივე მართალი, მაგრამ დაღლილი, სევდიანი, მარტოსული და მკაცრი აღმოვჩნდით. დღემდე არ ვიცი, რაზე ვფიქრობდით იმ საღამოს, თუმცა ახლა მტვრინი ჰაერით იესება ჩემი ფილტვები. მე გამგუდავი და მშრალი ხველასავით მახრჩობს უშენობა...

ვერ მიგიჩინე ადგილი უსარგებლო მოგონებების საკუქნაში, რადგან ასეთი არ გამაჩნია. უშენოდ ფრთამოტეხილი პეპელა ვარ, რომელსაც ფრენის დროს მოტეხილი ფრთიდან სიცოცხლის მტვერი სცვივა, ჯერ ისევ ცოცხალია, მაგრამ დროებით. შენ ჩემი ფრთები იყავი, ახლა კი შემოდგომის მოწითალო ფოთოლი ხარ, რომელიც ხიდან მოწყდა უიმედოდ და ქარმა სხვა მხარეს წაიღო.

მინდა, ქარმა უკან დაგაბრუნოს, რადგან უთქმელი დამარჩა სიტყვები იმ მდუმარე, უკანასკნელ საღამოს. საღამოს, რომელსაც დუმილი ვარუქეთ. ჩვენ ყოველთვის გვეცოტავება დასამშვიდობებელი სიტყვები საყვარელი ადამიანებისთვის, ამიტომ ყოველთვის რაღაც გვრჩება უთქმელი.

მზე საბოლოოდ ჩაგორდა ზღვაში, გარშემო სიჩუმეა და სევდიანად ბნელდება.

გახსოვს, მკითხე, ჩემთვის მოწერილი წერილების ბოლო წინადადებას წერტილს რატომ არ უსვამ არასდროსო... ახლა გაპასუხო, წერტილი დასასრულს ნიშნავს. მე კი დასასრულისთვის არ მემეტებოდი.

ჩემზე ამბობდი, სევდიანი ადამიანები შემოდგომისა და ლიტერატურისკენ ისწავიანო. ვინ იცის, რატომ... ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მეტად შემოდგომას უხვდება ის სიტყვები, რომელიც მე ვერ გამოვთქვი შენთვის, მაგრამ ლიტერატურამ მაპოვნინა:

„სადა ხარ, როცა ასე მჭირდები!“ (თამაზ ჭილაძე)

# გზა - კვლავ საკუთარ პრესაზე

- ნუთუ მართლა ასე შორია გზა საკუთარი არსებიდან კვლავ საკუთარ არსებამდე?

ნუთუ ეს გზა მთელს დედამიწას... არა, მთელს სამყაროს უნდა მიუყვებოდეს, რომ წრიულად თუ სპირალურად კვლავ იმავე პოეტურ არსებაში ჩაბრუნდეს?

ეს გზა ხან ბილიკია, ხან ფართო ქუჩა, ხან ზღვაშიც ჩადინება მდინარესავით და, თითქოს კი არ ერთვის, არამედ იქ

იკვლავს სავალს თავისი მიწყვი ნრებრუნვისაკენ.

და როგორც უნდა იყოს გზა იგი, ქვა, ქვები, როგორც ორიენტირები - განლაგებულან მთელს მის სავალზე. მათ ან გვერდით უნდა აუქციო, ან გადალახო. მთელი არსებით უნდა განიცადო ეს ქვები - რომელიც ხან ადამიანები არიან, ხან გულბებიც კი.

ქართულ ენობრივ საგანძურსაც ხომ აქვს დღემდე კომპოზიტად შემონახული ქვისა

და გულის ერთობა სიტყვაში - გულქვაობა.

ქვა მრავალნაირია. ბოლოს და ბოლოს, მარმარილოს ლოდის ხომ ქვაა, მაგრამ ირმა შიოლაშვილისთვის ქვა ბუნების გარდაუქმნელი მოცემულობაა. მისი ქვაობა, როგორც ასეთი, კულტივაციის წინა საფეხურად, პოეტნიკად არ მოიაზრება ამ პოეტურ სამყაროში. იგი თითქმის არ ტრანსფორმირდება. რაც არის, არის!

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოეტი სამყაროს აღიქვამს, როგორც რეალურ, არაცვალებად ან ნაკლებად ცვალებად მოცემულობას.

ხოლო, თუ რამ ემორჩილება ცვალებადობას მის ვრცელ პოეტურ ველში, ეს თავად მისი შინაგანი არსებაა.

აღსანიშნავია ერთი სპეციფიკური მომენტი, რომელიც ირმა შიოლაშვილის ხელნერას გამოარჩევს თავის თანამოკალმეთაგან:

ეს არ არის შინაგანად დესტრუქციურებული არსება, რომე-

ლიც რაღაც ახალ საფუძველზე აწყობას ცდილობს (ეს მოდელი სხვადასხვა მოდუსით, მოყოლებული ბაირონიდან ან იქნებ სულაც ჰამლეტიდან, პოეზიაში გარანტირებულად ამართლებს).

მისი პოეტური ნატურისთვის ნიშნულია სხვა რამ: საღ შინაგან ღერძზე დაყრდნობილი კონსტრუქციის პირობებში თვითაგება, თვითპოეტორება, მუდამ პოზიტიური მასალით.

**ინსო დარბაისალი**



ირმა შიოლაშვილის ლექსებს როცა ვკითხულობ, არასოდეს მტოვებს შეკითხვა:



**ირმა შიოლაშვილი**

*ლოქსები  
ახალი  
წიგნიდან  
„ოქცომბერი“*

## ცხოვრების რასწივებს

- დაიწყე ახლიდან!  
მიბრძანებს ჩემი ცხოვრება და მეც ვემორჩილები - ახლიდან ვინყებ ყოველ დღით საკუთარი თავის შეგროვებას: თვალს ვახელებ, გულებში ჩაზრდილ ნაბლს ვაგროვებ და ვასუფთავებ, წამნამებზე სულს ვუბერავ სიზმრის ნარჩენებს, მტვერით ვფანტავ - არ მჭირდება - ცხოვრებაში მხოლოდ დამაბნევს!

ვეძებ ხელებს, რომლებსაც მხოლოდ წერა გამოსდით, სხვა არაფერში არ ვარგინ, შეილებს რომ ეხებინან, მაშინაც მწიფე სიტყვების სუნი უდით, შეილები მიეჩვივნენ ამ სუნს, სხვანაირი დედა არ ახსოვთ.

ვეძებ ფეხის ტერფებს, რომელთაც მთებში სიარული მოსწონთ, რომელთაც ქვა-ღორღებზე სიარული ბავშვობაში შეიყვარეს და, როცა ასფალტს ეხებინან, გული წუხილისგან უბრტყელდებათ.

ვეძებ ენას, რომელიც მწარეა და ბავშვებზე აყვავებულ სიტყვებთან მეგობრობს. რომელმაც მხოლოდ პირდაპირი გზები იცის -

გადახვევების გარეშე, ამიტომაც ხშირად ვკბენ ხოლმე.

ვეძებ შუბლზე შიგნიდან გადაჭიმულ ძარღვებს - ლურჯებს და ყოფაზე ძლიერებს, თუ თავის ადგილას არიან, შემოდლია, წამოვდგე და ახლიდან დავიწყო.

## თქვები

რომ შემეძლოს, გარესამყაროს დაეჯერებდი, რომ ძველი ისტორიები მომავლიდან იკვებებიან, რომ ერთი გრძელი სპირალია ჩემი ცხოვრება - ერთი ბოლოთი მომავალს შეერთებული, ხოლო მეორეთი - ჭრელაჭრულა წარსულს! არადა, ისე უპრობლემოდ ვიცხოვრე, შორიდან ბევრს შურდა ჩემი აწყობილი რეალობა და ჩემი აღიარებული სიტყვები, თუმცა, რა იცოდნენ, რომ კალაპოტში მოცურავე მდინარეს ყველაზე დაუმორჩილებელი თევზები აბარია, რომლებიც ცხოვრებას უსიტყვოდ უმწარებენ! ძალიან ძნელია დაუმორჩილებელი თევზების მწყემსვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფსკერზე მფეთქავ სპირალს გარშემო უვლიან და დანახულზე და განცდილზე ვერ ლაპარაკობენ.

## იჩონის

არადა, ისეთი უშნოა ეს ცხვრებით დასახლებული სამოთხე, აღარ ვიცი, რა მოვუხერხო ჩემს მხედველობას. დადიან ცხვრები, სიჩუმეს და სუნს ერთმანეთში ურევვენ და ხანდახან ერთმანეთიც ერთმანეთში ერევათ. მე კი რა ვქნა, როცა გაზრდილი შემოვედი ამ ფარაში, ვლაპარაკობ, მაგრამ ვის რას გავაგებინებ. გამარჯობა, ცხვრებო, არც კი იცით, რომ შესაძლებელია გაცუროთ მდინარე და ყველა ჭუჭყი მდინარეს გაატანოთ, და ყველა სირცხვილი მდინარეს გაატანოთ,

და ყველა უსიტყვობა მდინარეს გაატანოთ, ისეთი მიმტვევებელია მდინარე! გამარჯობა, ცხვრებო, სანამ თქვენ ძოვდით, მე ვისწავლე დუმის დამარცხება, მე ვისწავლე შიმშილის დამარცხება, მე ვისწავლე სიამის დამარცხება და ახლა, როცა გარედან გიყურებთ, როცა ფარაში მდგომი მაინც გარედან გიყურებთ, შეგიძლიათ ბალახით ლეჭოთ ჩემი ირონია.

## მასწინ. როცა ცეცხლმა რასწვს ბეჭის შინობს

მე გამოვედი ჩემს ქალაქში, დამწვარ ქალაქში, გავხსენი ჩანთა და უსიტყვოდ ამოვალაგე ყველა უაზრო ძველი ნივთი, ყველა ზღაპარი, ყველა ცრურწმენა მივაშავე დამწვარ სანაგვეს, რომელიც იქვე, ქუჩის ბოლოს მშვიდად იცდიდა, უბრალოდ, იდგა ჭვარტლიანი, მოკლე მკლავებით, წარმოვიდგინე, ცეცხლის ენა როგორ კოცნიდა მოკლე მკლავებზე, რა ვნებით და რა აალებით

და გავაგრძელე გზა ქალაქში, დამწვარ ქალაქში, გახსნილი ჩანთით ჩაგუარე ბიბლიოთეკას, სადაც ჭვარტლიან წიგნებიდან ღმერთი ბლაოდა, სადაც სიტყვები ადნებოდნენ წიგნის გარეკანს. გახსნილი ჩანთით ჩაგუარე კინოს, ოპერას, ძველ სასტუმროებს - შავებსა და გულამოცლილებს - რომელთაც თვალი გააყოლეს ცარიელ ჩანთას, მეც ცარიელი, მშრალი მზერით გამომაცილეს,

მე კი წარსული მომყვებოდა იმ შენობიდან, სადაც დამწვარი წიგნებიდან ღმერთი ბლაოდა, მივბრუნდი და ვთქვი: გადმოვიტან ყველა წიგნის ყველა გარეკანს, გადმოვიტან ყველა წიგნის დამწვარ იმედს ჩემს უცნაურ, ჭვარტლიან გულში, შინაგან გზაზე ავაშენებ თეთრ შენობას, ის იქნება ჩემი სახლი, ის იქნება ჩემი დიდი ბიბლიოთეკა.



**მამუკა ორჯიასვილი**

## ნეტა, რა გვიხარია

ურწმუნოთა ბრბო გვიტყვის, შემოლენეს კარები, განგამის ხმას გამოსცემს ეკლესიის ზარები!

შანსი დაგვრჩა პატარა.

მუხამ გულღვარძლიანი, ჩასისხლული თვალებით, დაკოჟრილი თითებით, საზიზღარი ბრტყალებით,

ქრისტეს ებრძვის სატანა.

ჰოი, სულო ცოდვილო, მოგისყიდეს, მოგცელეს,

ვინ ჩამოთვლის ავსულებს, ანდა ვერცხლზე მლოცველებს,

დღეს იუდას ჟამია.

დაგვებინდა გონება, გაფერმკრთალდა საწუთრო, ნეტა, ვის რა ვაკუთვნო, აღარც დაგვრჩა საკუთვნო.

ნეტა, რა გვიხარია?!

ისევ შევთხოვ მარიამს, გვიხსნის ქრისტეს მშობელი, ბრძოლისთვის არ გვცალაია, გვიტყვის ღმერთის მგმობელი,

ავი სულს გარს ევლება.

სანამ გადავშენდებით, სანამ გავცამტვერდებით და ნელ-ნელა ვთავდებით, ერთურთში ვერ ვზავდებით,

ნეტა, რა გვეშველება?!

ჩვენს თავზე ავდარია და მტერს ეს უხარია, ეს ქვეყანა - ნალკოტი, შეიცვალა ძალიან,

ლამის გადავშენდეთ და, ნეტა, რა გვიხარია?!

## ყდილობს

ფიქრი ნისლად მომეხვევა ლამენატეს სხეულზე, დარჩა მცირე ჩამორხევად ლამე ცისკრის ხეულზე.

ნელა-ნელა ვარსკვლავებიც გაპარულან ზეციდან, ფიქრით მე რომ მანვალბედი, გულს უშენოდ შესცივდა. სულმა ველარ დაივანა წმინდა ღრუბლის გრილობე, მთები დგანან აივნებად მინის მწვანე ტილოზე.

გატეხილი ლამის სურა ბნელეთს ხათრით ეკიდა, ნადილი რომ აისრულა, ცისკარს გამოეკიდა.

ფიქრი, ნისლად მოხვეული, სხეულს აკანკალებდა, ლამე, მოშლილ-მორღვეული, მოთმინებას დაღვედა.

გატეხილი კუნაპეტი, უსაშველოდ მსხვრევადი, რა ვისურვო ამის მეტი, გული ნაკლებ ლეღვადი.

გატეხილი ლამის სურა ბნელეთს ხათრით ეკიდა, ნადილი ვერ აისრულა, ცისკარს გამოეკიდა.

## ანი ვიცი, რა ვთქვა

ლამაზთვალეზავ, არ ვიცი, რა ვთქვა, გხედავ და გული სითბოთ მევესება. გამოგიტყდები, ლექსებმა გამთქვა, გამთქვა გრძნობების ღია ფესვებმა.

სტრიქონმა გამთქვა, სიმღერამ გამთქვა, გულისცემამ და ბრწყინვამ თვალების, მხოლოდ ერთს გეტყვი, სხვა აბა რა ვთქვა, ხარ დედოფალი ქვეყნად ქალების.

დაბლა დახრილმა თვალებმა გამთქვა, სხეულმა გრძნობით იწყო შევესება. ლამაზთვალეზავ, არ ვიცი, რა ვთქვა, გხედავ და გული სითბოთ მევესება.





ზურაბ თორია

ჩაძინებული ვიყავით, კარზე კაკუნით რომ გაისმა. ეს იყო 25 დეკემბერი, 1951 წელი, ღამის სამი საათი. გავაღეთ კარი, შემოვივიდა სამი კაცი: ჩეკისტები და რამდენიმე სამხედრო. გიორგის საწოლთან მივარდნენ და ხელები გადაუგრიხეს... რუსმა სამხედრომ საათს დახედა: „ერთ საათს გაძლევეთ მოსამზადებლად“, გვითხრა, მერე ჩემოდანს მივარდა, სადაც ის ხანჯალი მედო, ჩემმა ძმებმა – ბონდომ და დიმიამ შემთხვევით რომ ნახეს საკომისიო მალაზიაში, ნახესხები ფულით შეიძინეს და მე მომბარეს. ხანჯალი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ბაბუს – გიორგი შარვაშიძის ნაჭონი გახლდათ და თავისთავადაც საკმაოდ დიდად ღირებული... ამოიღო ხანჯალი ამ რუსმა და გამოგვიცხადა: „Это нехорошо вам брать“... (ბაბო დადიანის ჩანაწერებიდან)

ახლახან საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკამ გამოსცა ქეთევან ტომარაძის შედგენილი და მომზადებული წიგნი „რეპრესირებული ჩანაწერები“, რომელიც მან საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნას მიუძღვნა.

XX საუკუნის 37-38 წლების რეპრესიები საბჭოთა რეჟიმის მიერ ადამიანთა მასობრივი წამების, სიცოცხლის მოსპობის, გადასახლებისა და განუკითხაობის შესახებ მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ თვით საქართველოშიაც კი ბევრს არ სმენია 1951 წელს ქართული ოჯახების გადასახლების ამბავი, რაც შაჰ-აბასისა და აღმოსავლელი დესპოტების კვალობაზეც კი შემზარავი ფურცელია ქართველი ერის ისტორიაში.

ეს განუკითხაობა, როგორც ჩანს, 37-38 წლებამოვლილ, დაშინებულ და არსებობის სავალალო ზღვრამდე მიყვანილი საზოგადოებისთვის იმდენად შოკის მომგვრელი აღმოჩნდა, ვერაფერს კითხვის დასმასაც კი ვერ ბედავდა, თუ რატომ, რა მიზეზით განხორციელდა ეს სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც, ვინ მოთვლის, რამდენი სრულიად უდანაშაულო ჩვილი, მოზარდი, ფეხშიშვე ქალი, ხანდაზმული თუ ჯან-ლონით, პატიოსნებითა და ინტელექტით სავსე ადამიანი ემსხვერპლა.

მოკლედ, 1951 წელი იყო და ყოველივე ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოველი მეოთხე შრომისუნარიანი მამაკაცის დამკარგავი ქვეყანა სულის მოთქმასა და ადამიანობის თუ მატერიალური დანაკარგებით მიყენებული ძალების აღდგენას რომ ცდილობდა.

ბაბო დადიანის, ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიშვილის, ქეთევან (ჩიტო) კალანდაძის, ბარამ ბარამიძის, გულნაზ (გუქა) გორგილაძის, ვანო ვარაზაშვილისა და დავით თაყაიშვილის ჩანაწერები შემზარავ შტრიხებს აცოცხლებს იმ პერიპეტეიბისა, რომლებიც მეორედ გადასახლებისას ინვნიეს სრულიად უდანაშაულო ადამიანებმა.

მეორედ გადასახლება შემთხვევით როდია ნახსენები. რეპრესირებულ ადამიანთა უმრავლესობას გაუსაძლისი უბედურების ხელახლა გადატანა მოუხდა: მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ტყვეობა, კეთილშობილური წარმომავლობა, ტალანტი თუ საზღვარგარეთ გახიზნულთა ახლობლობა მათ ნამდვილ რისხვად მოეცლიათ.

გადასახლებულთა თავგადასავლები ერთიმეორეს ჰგავს. შემოფთებული მოქალაქეების შეკითხვაზე, რა ხდება და რისთვის ვისჯებითო, ჯალათებს მუდამ ერთი და იგივე აგდებული პასუხი ჰქონდათ: „გადასახლებას ექვემდებარებით, დანარჩენს, ადგილზე რომ ჩახვალთ, იქ გეტყვიან!“ და, თუ სისხლიან ოცდაათიან წლებში (ფორმალურად მაინც) ტარდებოდა სასამართლოები, „ხალხის მტრად“ შერაცხილებს მეზობლების ან ცრუ მოწმეთა თანდასწრებით შეთითხნილ განაჩენს აცნობდნენ, ამჯერად ამ ხალხს, სიჩქარის გამო, საქმის არასი გარკვევის ღირსადაც არ მიიჩნევდნენ.

...ქალბატონმა ბაბომ და მისმა ვაჟმა იმ მცირე დროში პირად ნივთებს, ასე თუ ისე, თავი რომ მოუყარეს, „ღამის სტუმრებმა“ ეს ყველაფერი იატაკზე გაფენილ ფარდაგში გაახვიეს, ქალბატონი ბაბოს მუდარა, ჩემს ქალიშვილს ფილტვების ანთება აქვს და დატოვეთო, ყურად არ იღეს, კიბეზე ჩაიყვანეს, ქუჩაში მომლოდინე სატვირთო

მანქანის ძარაზე არეკეს და რკინიგზის სადგურისკენ დაიძრნენ.

გზად გაიკვია, ამ დღეში ბაბო დადიანის ოჯახი ერთადერთი როდი ყოფილა. სხვადასხვა ქუჩიდან და უბნიდან მათ კვალზე ჩნდებოდნენ ხალხით დატვირთული საბარგო მანქანები, საიდანაც ბავშვების ტირილი, მოხუცთა კვნესა-გოდება, დედების მოთქმა და კვილი გაისმოდა. საბოლოოდ, ამ კოლონებმა ნავთლუღის სადგურზე მოი-



განხორციელდა, რათა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის საიდუმლოდ დარჩენილიყო.

წიგნი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თვალსაჩინო ენერგეტიკოსის ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიშვილის „ერთი კაცის ნაამბობი“ – ეს უნიჭიერესი, ენერგიითა და პატიოსნებით აღსავსე პიროვნება მისი ოჯახის ყაზახეთში გადასახლების ღამეს ერევანში იმყოფებოდა საკავშირო კონფერენციაზე.



# პირისულ ქართველთა სულის ანარქია

ყარა თავი, სადაც ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა – აქ თავშეყრილ ადამიანებს საქონლის გადასახიდ, ბინძურ ვაგონებში ერეკებოდნენ.

ეს უფაზრებო, ბნელი ვაგონებისგან შემდგარი, მე-8 პოლკის ჯარისკაცებით ალყაშემორტყმული ეშელონი სხვადასხვა ასაკის ადამიანებით, მათ შორის, საკაცით მიყვანილი დავრდომილებით იყო გადატვირთული და მთელი დღე ნავთლუღის სადგურის ჩიხში იდგა. ზემოთ, კახეთის გზატკეცილზე, აუარებელი ხალხი ირეოდა. გაჰყვიროდნენ ახლობელთა სახელებს, ტიროდნენ, კიოდნენ. ჩანს, ჯარისკაცებსაც კი შეეცოდათ ეშელონში მყოფნი და თავისი-ანების მოსაძებნად მისულთ ეხმარებოდნენ, ურჩევდნენ, წრე გაარღვიეთ, მიდით, რამე თუ გაქვთ, გადაიხდითო...

შობის დღე ამ ადამიანებმა გლოვასა და ვაი-ვიშში გაატარეს. სამოცვაგონიანი ეშელონი საღამოს ცხრა საათზე დაიძრა. კახეთის გზატკეცილზე მყოფი ხალხი ნელ-ნელა დაძრულ შემადგენლობას უკან მისდევდა, სარკმლებში უყრიდნენ თბილ ტანსაცმელს, ფულს, საკვებ პროდუქტებს, ტირილით ემშვიდობებოდნენ, ამხნევებდნენ ძვირფას ადამიანებს. ამ შემზარავი სურათის ფონზე ყველაზე ცინიკური გახლდათ ვაგონებზე გაკრული ნითიელი პლაკატები წარწერით: „ДОБРОЛИНО!“

შემზარავი იყო სიცივითა და შიმშილით დაუძლურებული, რძეგამშრალი დედების ხელში გარდაცვლილი ჩვილების, ავადმყოფი მოზარდებისა და დავრდომილი მოხუცების ნეშტთა გზადაგზა, რკინიგზის პირას მინაში ნაჩქარევად ჩაფვლა და გაუსაძლის პირობებში თითხმეტყლიანი მგზავრობა, რომლის დასასრულსაც სასოებით ელოდნენ ცის ხილვას დანატრებული შერისხული მგზავრები. რეალობა მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა: საქონლის ვაგონებიდან ჩამოქვეითებულია წინაშე ყიზილყუმის მინუს ორმოცი გრადუსით გათოშილი უდაბნოს უკიდევანო ტრამაღი გადამაშლა.

მუდმივად ერთი კითხვა აწვლებდათ: ვინ მოიფიქრა სამოთხის დარი სამშობლოდან ღვთისგან ხელნაკრავ, სიცოცხლის ნიშანსგან დაცლილ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში მათი გადასახლება. სავალალო უფრო ის იყო, რომ 1951 წელს საბჭოეთის არც ერთი რესპუბლიკის მკვიდრს არ რგებია ქართველთა ხვედრი. ბევრის ცნობიერებაში, საბოლოოდ თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაინგრა თანამემამულეთა მიმართ ქართველი ბელადის უკიდევანო სიყვარულის მითი.

როგორც მოგვიანებით გაიკვია, ეს სადამსჯელო ოპერაცია მთელი საქართველოს მასშტაბით საგანგებოდ ღამის საათებში

ქართველთა მორიგი დასჯა ვილაც ბორტებით ატანილი უზურპატორის სურვილით რომ განხორციელდა და ეს ღირსებით სავსე, უღამაზესი, თითქოს საგანგებოდ შერჩეული, ქართული ჯიშ-ჯილაგის ნიშნით აღბეჭდილი, თავიანთ პროფესიას გადააგებული, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მეცნიერები, კულტურისა და საზოგადო მოღვაწენი (თვით ექვთიმე თაყაიშვილისთვის გადასახლების არიდება უდიდეს ძალისხმევად დასჯდომია კანდიდ ჩარკვიანს), მედიკოსები, პედაგოგები, მშენებლები, რიგითი მშრომელები საბჭოთა რეჟიმს ჩალის ფასად რომ არ უღირდა და მათი სტატისტიკურ ერთეულად აღრიცხვაც კი არ მიაჩნდა სავალდებულოდ, ყოველივე ამან ამ კაცის ჩანაწერებში პოვა ასახვა და მკითხველს მაღალი ინტელექტისა და ნიჭიერების ნიმუშად მოეფლანა. იგი გასაოცარი განცდით, მწერალ-დოკუმენტალისტი ალლოთი აღწერს თავისი ცოლ-შვილის კვალზე, სატვირთო მატარებლით ჯოჯოხეთური თოთხმეტლიანი მგზავრობის ყოველ დეტალს, ყიზილყუმში ჩალწევის შემდეგ ოჯახის ძებნას საბჭოთა კოლმეურნეობაში, რომელიც მხოლოდ მეტამბეობას მისდევდა, რადგან სხვა მცენარე იქ ვერ ხარობდა; ზაფხულობით მზის მცხუნვარება 70-72, ხოლო ჩრდილში 40-42 გრადუსს აღწევდა და ამ გაუსაძლის პირობებში, სასმელი ნყალი სანატორი იყო და ყვესიფერი უდაბნოს ქვიშა-ქვით გაჯერებულ ნიადაგზე, აქლემების ნაფეხურებში დაგროვილი წყლის დაღვევა მხოლოდ გადადუღებისა და სუფთა ზენერებში გაწურვის შემდეგ იყო შესაძლებელი, ხოლო ბამბის კრეფის ყოველდღიური ნორმის შესრულება არაადამიანურ ძალისხმევას მოითხოვდა...

ალიზის მინურ, ერთი ბენო სტანდარტულ ქოხებში თავმეფარებულმა ქართველებმა თავდაუზოგავი შრომით ამ ბერწ, უნაყოფო ყიზილყუმის უდაბნოში სასწაული მოახდინეს: მათი მესვეურობით აიგო ახალი საცხოვრებელი სახლები, კინოთეატრი, მცირე ელექტროსადგური, სხვადასხვა დანიშნულების შენობები და იქ ცხოვრება, ასე თუ ისე, ასატანი გახდა.

ნიკოლოზ ჩხატარაიშვილის ჩანაწერებში ჩვენ თვალწინ გაიხლებენ ნერგაძეების, სანდრო ამბეტელთან ერთად რეპრესირებული ელგუჯა ლორთქიფანიძის მეუღლის, ექიმ მარგო მუჯირისა და მისი შვილის, ჯანიკოს, კახელი გლეხის დათა კახელაძის, არქიტექტორი ქალის თინა ქარლუმიძის, სახელმწიფო მკვლევარი ექიმ-ლარეოლოგის თევზაძის (რომელიც იქმის გამო გადაუსახლებიათ, რომ მისი ცოლისძმა – დადუქელიანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში

დარჩენილა), ანჯაფარძეების, ექიმ გედეონ ასათიანისა და მისი მეუღლის, ქეთო ბოკერიას ოჯახის ტრაგიკული თავგადასახლები, 1924-43 წლებში გადასახლებული ბერძენების ამბავი, თავად სილატაკეში მყოფებმა მრავალი ქართველი რომ შეიფარეს და ლუკმა გაუყვეს, ლენინის ორდენოსანი (!) ხანდაზმული პედაგოგის, ეკატერინე გაბაშვილის კეთილად აღნაგი და ღირსებით სავსე შვილიშვილის – გურამ გაბაშვილის, კოლია ჯანდიერის, ყოფილი ემიგრანტის, შაქრო რომანიშვილის, ევგენი მიქელაძის დის სახეები, როლებმაც იმ არაადამიანურ პირობებში თავისთავადობა შეინარჩუნეს და სხვებისთვის საწინააღმდეგო მაგალითად იქცნენ.

საერთოდ, ძნელია, ლოგიკური ახსნა მოუძებნო ქართველების ამ მასობრივ გადასახლებას. მაგალითად, ძმები ხვედელიძეების ორი შესანიშნავი ოჯახი მხოლოდ იმის გამო შერისხეს, რომ მათი ბებია ნოე რამიშვილის და იყო. ზემო სურებიდან წამოყვანილი ეს 92 წლის მანდილოსანი შვილიშვილების ეშელონს ჩამორჩა და რუსულის არმცოდნე შუა აზიის რომელიღაც უპოვართა თავმესაფარში მუნჯივით აღესრულა.

სხვადასხვა მონაცემებით, 1951 წლის შობის კვირას ქართველ გადასახლებულთა რიცხვი 15 ათასიდან 50 ათასამდე მერყეობდა. დაზუსტებული მონაცემები უცნობია, რადგან არავის მისცეს გადამონემების ან გასაჩივრების უფლება.

გადასახლებულთა თოთხმეტი დღე-ღამის შემდეგ ყიზილყუმის უდაბნოში რომ ჩააღწიეს, იქიდან კი მივარდნილსა და ღვთისგან მივიწყებულ ე.წ. საბჭოთა მეურნეობებში გაამნესეს, მამინე უბრძანეს, საშუალო პატიმრობის თანხმობაზე მოეწერათ ხელი. ისინი ამ მოთხოვნას აღშფოთებით შეხედდნენ და წინააღმდეგობის განცეცაც სცადეს, მაგრამ ვილაცის რჩევითა და ნიკოლოზ ჩხატარაიშვილის მეცადინეობით ამ საბუთს ყველამ იმ იმედით მოაწერა ხელი, იქნებ, დრო შეიცვალოს და ჩვენი ბები ნაღმა შეტრიალდესო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურჩევს უარეს პირობებში უპირებდნენ გადახვენას.

უდაბნოს მკაცრ ბუნებას განსაკუთრებით ვერ უძლებდნენ ზღვისპირეთის მკვიდრნი: აჭარიდან გადასახლებულთა მთელი ეშელონი დაღუპულა პიტანელი კლიმატური თუ საცხოვრებელი პირობების გამო...

„სტალინის დასაფლავების დღეს კი მოხდა ის, რისი ახსნაც დღემდე არ ძალიძის, – წერს ნიკოლოზ ჩხატარაიშვილი. – ურთულესი ფსიქოლოგიური განწყობა, რომელსაც ადამიანის შეუცნობი სალიერი სამყარო განაპირობებს ხოლმე, ნამდვილად გასაოცარი რა იყო მიზეზი? – ათწლეულობით სისხლში გამჯდარი შიში, რომ „ვთუ ვინმემ რამე იფიქროს, სიხარული შეგვამწინოს და ამიტომ მგლოვიარობა ვაჩვენოთ ყველას!.. სტალინის დასაფლავების დღეს, სახელდახელოდ შეთხზულ სამეგლოვიარო რიტუალებში, ბევრმა მისგან გაუბედურებულმა ქართველმა სხვებთან ერთად მიიღო მონაწილეობა. რიგში ჩამდგარნი, თითო-თითოდ მიდიოდნენ ლოკომობილის საყვირთან, ჩამოსწევდნენ სახელურს და უდაბნოს ეფენებოდა საყვირის ხმა. აბა, რას გაარჩევ, შენდობისა თუ წყევლა-კრულვისა იყო ორთქლის ნაქშენი ეს გამყინავი ხმა? შესაძლოა, ორივეს ერთად...“

იქნება, მკითხველმა პარალელი გააღლოს იმ უღმომბო რეჟიმსა და ნაკლებ მასშტაბურ, მაგრამ მაინც ხალხისთვის საშიშ თანამედროვე ტენდენციებს შორის და დაფიქრდეს. ამასთან, გაისიგრძევანოს, რომ ბელადებად უმთავრესად სადომამოხობისტიები ყალიბდებიან, მხოლოდ თავიანთი განდიდებისთვის იღვნიან, ადამიანთა მასებს საკუთარ ბოროტ ენებათა სამანიშნულადიო ქაჩიკობა განიხილავენ და მათი ე.წ. ქარიზმატულობა რაოდენ შენიღბულიც უნდა იყოს, სატანური თესლის მატარებლებად გვევლინებიან.

ქალბატონმა ქეთევან ტომარაძემ ამ ჩანაწერების გამოქვეყნებით ქართველთა მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა მიჩუმებულთა, ერთ-ერთი ბნელი მოცული ისტორიის ჯეროვნად გაცოცხლებას შეუწყო ხელი. მან, როგორც პიროვნულმა რედაქტორმა, ამ ტექსტებს ავტორებისული ლექსიკა და სულიერი განწყობა შეუნარჩუნა, რაც ამ ჩანაწერების ბუნებრივად და დამაჯერებლობას, აღწერილი ამბების მიმართ მკითხველის თანამობის განცდასა და ინტერესს საგრძნობლად აძლიერებს.



### მიხეილ მახარაძე

მიმდინარე წლის 31 მაისს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის, რენესანსის პრობლემებისა და რუსთაველის შემოქმედების აღიარებული მკვლევრის, აკადემიკოს შალვა ხიდაშელის დაბადებიდან 110-ე წელი შესრულდა.

როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგ არაერთი საგაზეთო წერილი გამოქვეყნდა მის შესახებ. მალე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გამოსცემს ჩემს მონოგრაფიას „შალვა ხიდაშელი. ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა“.

ამაჟამად გადავწყვიტე, მკითხველს მივანოდო რამდენიმე მოგონება ჩემს მასწავლებელზე, რითაც სხვადასხვა რაკურსით წარმოჩნდება მისი პიროვნება. მით უმეტეს, რომ 26 წლის განმავლობაში ხიდაშელისა და ჩემი ურთიერთობა არაერთ საინტერესო მომენტს მოიცავს.

\*\*\*

შალვა ხიდაშელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე, ჩვენს ჯგუფში ქართული ფილოსოფიის ისტორიაში ლექციების კითხვა 1968 წლის სექტემბრიდან დაიწყო. მაშინ მეოთხე კურსზე ვიყავი. სხვადასხვა მიზეზის გამო მთელი ორი თვე ლექციებს ვერ ვესწრებოდი. ნოემბრის დასაწყისში კი კათედრაზე პირველად ვიხილე საოცრად მომზიბველი ლექტორი, გამორჩეული მჭევრმეტყველებითა და დარბაისლობით. ეს იყო ბატონი შალვა ხიდაშელი. სწორედ იმ დღიდან გადაწყდა ჩემი მომავალი ცხოვრების გზის მიმართულება.

ამის შემდეგ იყო ბატონი შალვას და ჩემი - მასწავლებლისა და მოწაფის 26-წლიანი თანამშრომლობა, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია: ამ პერიოდში ბატონმა შალვამ რვა წინაგამოაქვეყნა, მათ შორის, ფუნდამენტური მონოგრაფია „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1988). მეამაყება, რომ ამ მნიშვნელოვანი გამოკვლევის რედაქტორი ვარ. ამ პერიოდში აირჩიეს ბატონი შალვა აკადემიის ნამდვილ წევრად; ამასთან, მომზადდა ჩემი ორი სადისერტაციო ნაშრომი და გამოიცა ჩემი ხუთი მონოგრაფიული ნაშრომი ფილოსოფიაში.

\*\*\*

ბატონ შალვას ერთი ძალიან კარგი და საშური თვისება ჰქონდა - ის არასოდეს მოგახვევდა თავის შეხედულებას. როცა არეოპაგიტიული მოძღვრებისა და რუსთაველის პანთეონზე ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს დაშორდა, ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ მეგრძნო - ეს მისთვის მიუღებელი იყო. ასე იყო ქართული რენესანსის თაობაზეც.

\*\*\*

1972 წელს ხიდაშელის ბინაზე მომინია გამოჩენილ რუს სწავლულთან ალექსეი ლოსევთან (1893-1988) „შეხვედრა“. ბატონ შალვასთან, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელთან მორიგი ვიზიტისას ლოსევსა და ხიდაშელს შორის სატელეფონო საუბრის მომსწრე ვაგხდი.

საუბრის დამთავრების შემდეგ, ბატონმა შალვამ რუსულად გამიმეორა ლოსევის ნათქვამი: „Кто сказал, что не бывает чуда! Издание этой книги в Тбилиси есть настоящее чудо“.

საქმე ეხებოდა დიდი ბერძენი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პროკლე დიადოქოსის /412-485/ უმნიშვნელოვანესი თხზულების „ღვთისმეტყველების საფუძვლების“ ლოსევისეული რუსული თარგმანის გამოცემას თბილისში 1972 წელს.

ლოსევმა (!) მოსკოვის ვერც ერთ გამოცემაში ვერ მოახერხა პროკლეს ამ უმნიშვნელოვანესი თხზულების მისეული რუსული თარგმანის გამოცემა. სწორედ ამიტომაც მიიჩნია დიდმა სწავლულმა ეს ფაქტი - თბილისში ამ თარგმანის გამოცემა ნამდვილ „ყუდი“-დ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემის რედაქტორი იყო ბატონი შალვა და მასვე

ეკუთვნოდა მალალ დონეზე შესრულებული „რედაქტორის შესავალი წერილი“.

\*\*\*

1978 წელს გამოვიდა ალექსეი ლოსევის ფუნდამენტური ნაშრომი - „ალორძინების ესთეტიკა“, რომლის პირველი თავი /გვ. 13-37/ ეძღვნება აღმოსავლურ ალორძინებას. მოკლე შესავლის შემდეგ, ნაშრომში განხილულია ალორძინების საკითხები ჩინეთში, ირანსა და სომხეთში /გვ. 13-23/. ამ თავის ნახევარზე მეტი ქართულ ალორძინებას ეძღვნება.

ამ წიგნის გამოსვლა, სადაც უსიტყვოდ იყო აღიარებული რენესანსის არსებობა XI-XII საუკუნეების საქართველოში, დიდი მოვლენა იყო ჩვენთვის. ხიდაშელმა მიიჩნია, ქართულად მეთარგმნა ეს თავი.

ორი კვირის შემდეგ ბატონ შალვას გადასახედა მიუფტანე ნათარგმნი 12 გვერდი. სამი საათი ვინვალეთ მასალაზე და ბატონმა

სალამოს მოულოდნელად პალატის კარი გაიღო და შემოვიდა ბატონი შალვა ხელში ბრონეულით სავსე ვევერთელა პარკით.



## მოგონებები მასწავლებელზე

აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი - 110

შალვამ, რომ არ ჩვეოდა, იმ სტილში გადმომიგდო ხელნაწერი და უკმაყოფილომ მითხრა: „შევეწვათ ამ საქმეს, არაფერი გამოვა“. მაგრამ, მასალის აღება რომ დავაპირე, არ დამანება და დაიტოვა. რა თქმა უნდა, ჩემთვის არასასიამოვნო იყო ყველაფერი ეს, მაგრამ ადვილად შევეგუე რუსულ ენაში ჩემი „განსწავლულობის“ გათვალისწინებით. პარასკევი დღე იყო და ამის შემდეგ ორი დღე ბატონ შალვას აღარ შევხვდინებოვარ.

ორშაბათს ფილოსოფიის ინსტიტუტში მისულს მითხრეს, რომ ბატონ შალვასთან უნდა მივსულიყავი ბინაზე. ჩემდა გასაკვირად, კარი ბატონმა შალვამ გამიღო (როგორც წესი, კარს მოსამსახურე ან ოჯახის რომელიმე წევრი აღებდა).

ბატონი შალვა ოდნავ მოიხარა, შუბლზე მაკოცა და თავისი სამუშაო ოთახისკენ გამიძღვა. ოთახში შესულს მომიბოდიშა და მითხრა, რომ თარგმანი რამდენჯერმე გადავიკითხე და დავრწმუნდი: „შენ თარგმნი თავანკარა ქართულით, მე კი კალკით“. იქვე დასძინა, რომ ზემო აჭარის კილო ხომ ქართლის დიალექტში შედის და ამიტომაც არის ასეთი კარგი ქართული.

სხვათა შორის, ბატონი შალვა თავისი „კალკის“ გამო, მუდამ წერდა, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, იოანე პეტრინი ქართველი ფილოსოფოსი შუა საუკუნეებში და სხვა მისთანანი. შემდგომ, როცა მე ვიყავი მისი წიგნების რედაქტორი, მიხედობდა ამ „კალკების“ გასწორება, რასაც ბატონი შალვა მშვენივრად ხვდებოდა.

\*\*\*

1984 წელს ბათუმში მორიგი დასვენების დროს ბატონი შალვა გამომიხტდა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, მოენახულებინა მთიანი აჭარა.

ორი დღის შემდეგ ბატონი შალვა, ბატონი რამაზ პატარაძე (გახმაურებული „ქართული ასომთავრულის“ ავტორი) და მე ჩემი ბიძაშვილის, რევაზ მახარაძის მანქანით მთიანი აჭარის გზას გავუდევით. მოვიწახლეთ სხალთის ეკლესია. ღამე კი ჩემს მშობლიურ სოფელ ფაჩხაში გავათენეთ. ბატონ შალვას თან აპარატი ჰქონდა ნამოღებელი და ხშირად ისინჯავდა წნევას. მას განსაკუთრებულად მოეწონა ჩვენებური „აჩმა“-ხაჭაპური (მაშინ ეს კერძი ჯერ კიდევ არ იყო ასე პოპულარული). ბათუმში დაბრუნებულმა მითხრა, შენი სოფლის ნახვა მაინტერესებდაო და კმაყოფილებას ვერ მალავდა ამ მოგზაურობით.

\*\*\*

1985 წლის თებერვალში ჩემს ოთხი წლის შვილს ბოტკინი შეეყარა. მაშინ ველოდებოდით მეოთხე შვილს და ამიტომაც 12 დღის განმავლობაში ინფექციურ საავადმყოფოში მე მომიხდა შვილთან ერთად ყოფნა. ერთ

თურმე გაუგია ჩემი შვილის ავადმყოფობის ამბავი და წამოსულა ჩვენ მოსანახულებლად. ჯერ ბინაზე მისულა ნუცუბიძის პლატოზე. ბედი არ გინდა, კორპუსში ლიფტი არ მუშაობდა და ასე დატვირთული 74 წლის ბატონი შალვა ფეხით ასულა მე-12 სართულზე, იქიდან კი მოვიდა ინფექციურ საავადმყოფოში.

\*\*\*

ბატონ შალვას თავის უსაყვარლეს შვილიშვილზე, ლევან აბაშიძეზე ხშირად უთქვამს - ბევრ რამეში მე მგავსო. იმ დროისთვის მსახიობი ლევან აბაშიძე პოპულარობის ზენიტში იყო. მეც არაერთხელ მინახავს მათი სახლის წინ ასფალტზე წარწერები: „ლევან, მიყვარხარ!“. სახლის ტელეფონზე ზარები არ წყდება, აიღებდა ბატონი შალვა ტელეფონს და არავინ არ სცემდა ხმას. ამ ხშირი სატელეფონო ზარებით განაპყვავებული ბატონი შალვა ზოგჯერ საკმაოდ არაკორექტულად მიმართავდა დადუმებულ ადრესატს. ერთხელ ბატონი შალვას ქალიშვილმა მანანამ შემომჩივლა ლევანი უზერსულობაში ვარდებდა მისი მეგობრებისადმი მამას ასეთი მკვება პასუხების გამო.

ერთხელაც ბატონ შალვას, ასეთი გაგულისებული პასუხის გამო, ვუთხარი, თქვენი ახალგაზრდობა დაგავინყდათ-მეთქი. მან მისთვის დამახასიათებელი პოზა მიიღო: ტუჩები მოკუმა, ნიკაპი ოდნავ წინ წამოსწია და მითხრა, მართალი ხარო. გავიდა გარკვეული დრო, ლევანი დედას ეუბნება, ასე რამ შეცვალა პაპაო. მანანას კი უპასუხია, ამას ძია მიშას უნდა უმადლოდო.

\*\*\*

ბატონი შალვა აღმერთებდა ივანე ჯავახიშვილს, დიდად აფასებდა სერგი დანელიას, პატივს სცემდა მის დიდ ერუდიციას, მოსწონდა გურამ თევზაძის მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა, ზურაბ კაკაბაძეზე კი ამბობდა დედის რძესავით აქვს თანდასილილი ფილოსოფოსობის საოცარი ნიჭიო.

\*\*\*

ფილოსოფიის ინსტიტუტი არასოდეს განიცდიდა ინტელექტუალების ნაკლებობას. ამის მიუხედავად, მერაბ მამარდაშვილის მოსვლით რაღაც ახალმა სიომ დაბერა. უპირველესად განჩნდა მეტი პასუხისმგებლობა მოხსენებების გაკეთებისას, რადგან ბატონი მერაბი არ ცნობდა ავტორიტეტებს, ასაკს და ა.შ. მისთვის ხომ მთავარი იყო ჭეშმარიტება. კარგად არის ცნობილი თუ რა ამბავი ატყდა ერთ-ერთ თავყრილობაზე მისი ნათქვამის - „ჭეშმარიტებას სამშობლოზე მაღლა ვაყენებ“, გამო. ასეთივე იყო მისი შეხედულება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით ერთ მაგალითს მოვიტან:

ინსტიტუტში რენესანსის საკითხებზე მოხსენებას აკეთებდა ხიდაშელი. ის ამ თემაზე საქართველოში ლამის ხელშეუხებელი ავტორიტეტი იყო. მოხსენების მსვლელობისას ერთი საკითხის დასაზუსტებლად ჩართო ბატონი მერაბი. ეს ჩართვა შემდეგ ცხარე პოლემიკაში გადაიზარდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მოხსენებელსა და მოკამათეს ერთმანეთისა არ ესმოდათ. სხდომის დამთავრების შემდეგ ცხადად იგრძნობოდა, რომ ბატონი შალვა ამ დისკუსიით უკმაყოფილო იყო.

ამ ამბიდან მალე ხიდაშელის დაბადებიდან 75-ე წლისთავის საიუბილეო საღამო იყო. ის ფიქრობდა, დაეპატიუებინა თუ არა საიუბილეო ვახშამზე მამარდაშვილი. ბოლოს ამის თაობაზე ჩემი აზრით დანტერესდა, მე ვურჩიე, დაეპატიუებინა. იმ საღამოს ისინი ისე მოუფერენ ერთმანეთს, რომ ბატონი შალვა სიცოცხლის ბოლომდე იხსენებდა ამ ფაქტს.

\*\*\*

1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობაზე გამოცხადებულ კონკურსში ოთხი პრეტენდენტი იყო, მათ შორის, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჭავჭავაძე და ინსტიტუტის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი შალვა ხიდაშელი.

ინსტიტუტის ფოიეში პროგნოზებს აკეთებენ. თითქმის ყველა ნიკო ჭავჭავაძეს უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას. მე ხიდაშელისკენ ვიხრები და ამან ყველა გააკვირვა.

- რას ემყარები? - მეკითხებიან.  
- საღ აზრს, - ვპასუხობ და იქვე ვამატებ: - დანვრლებით არჩევნების შემდეგ მოგახსენებთ.

ჩატარდა არჩევნები, ჩემი ვარაუდი გამართლდა.

რას ვემყარებოდი? შემდეგ გარემოებებს:

1. ხმის მიმცემთაგან უმრავლესობა დაახლოებით ხიდაშელის ასაკისა იყო;
  2. ხიდაშელი ქართულ ფილოსოფიაში მუშაობდა და ხმის მიმცემთა უმრავლესობა მეცნიერების ეროვნულ დარგებში მუშაობდა;
  3. ხიდაშელმა ამ დროისთვის, ბოლო 7 წლის განმავლობაში, გამოაქვეყნა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული (!) ფილოსოფიისა და ქართული (!) რენესანსის საკითხებზე, მათ შორის, ფუნდამენტური „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ /1988/.
  4. ნიკო ჭავჭავაძე, როგორც ინსტიტუტის დირექტორი, პრინციპული და შეუვალი პიროვნება, პრობლემებს უქმნიდა აკადემიის მამინდელ ხელმძღვანელობას და, ბუნებრივია, ასეთი პერსონის კიდევ უფრო გაძლიერება მათ გეგმაში ნამდვილად არ შედიოდა.
- სხვათა შორის, არჩევნების შემდეგ ინსტიტუტში ეს თემა აღარავის გახსენებია.

\*\*\*

1991 წელს მოსკოვში ჩატარდა ალექსეი ლოსევისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციაში მეც ვმონაწილეობდი. ლოსევს ბატონი შალვა კარგად იცნობდა და დიდ პატივსაც სცემდა. მოსკოვში წასვლის წინ ბატონ შალვას შევეუარე. მან ფული მომცა და მითხრა: ამით ნითელი ღვინო იყიდე, რუსებს ძალიან უყვართო.

კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა. კონფერენციის დამთავრების შემდეგ ლოსევის მეუღლემ, პროფესორმა აზა ტახოგოდიმ ოჯახში მიგვინვია, არბატზე. 15-მდე სტუმარი ვიყავით. სუფრაზე იყო სალათები, თევზი „სელიოდკა“, ერთ-ერთმა სტუმართაგანმა ორი ნახევარლიტრიანი არაყი შემოამატა სუფრას. როცა არაყი გათავდა - და ეს ძალიან მალე მოხდა - მე მაგიდაზე ექვსი ბოთლი სხვადასხვა მარკის ქართული წითელი ღვინო დავავალე. სუფრის წევრებს თვალები გაუფართოვდათ. დაახლოებით ასეთი ჩურჩულით ნათქვამი გავიგონე - „ოჰ, ეს ქართველები!“.

შალვა ხიდაშელზე უფრო მეტს მკითხველი გაეცნობა ჩემს მონოგრაფიაში, რომლის შესახებაც უკვე აღვნიშნე წერილის დასაწყისში.



ვლადიმერ სოლოვიოვი

# ეპრაული და ქრისტიანული თეოკრატიის ბედი. - ჩუსეთი, პოლონეთი და ისრაელი

ნამდვილად, ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე ბოლოს და ბოლოს ღვთიური წინასწარმეტყველი იქნება; და ეს მაშინ, როცა ეკლესია თავის გამარჯვებას იზიენებს, როდესაც ყველა იქნება მეფე და მღვდელიც, მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ შორი გზა გასავლელი და დასასრულის გადმოტანა დასაწყისში წარმატების პირობა ვერ იქნება.

ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი არც ებრაელობაში და არც ქრისტიანობაში არ დაუპირისპირდება საეკლესიო და სამეფო ხელისუფლებას; პირიქით, გვერდში ამოუდგება მათ და მხილებითა და შეგონებებით დაეხმარება. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი თავის მოწოდებას არ აცნობიერებს რაღაც ბუნებრივ უფლებად, რომელიც მას ყველასთან აერთიანებს, არც საკუთარ პიროვნულ პრივილეგიად, არამედ მიიჩნევს განსაკუთრებულ ღვთაებრივ ნიჭად, რომელიც მისგან ითხოვს წინაპირი ქმედებას. კანონიერ ხელისუფალთათვის მორჩილებისა და უზენაესი მონადევისაკენ ღირსეული სწრაფვის ამ ორი აუცილებელი, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველური პირობის უკუგდებათი პროტესტანტობამ არსებითად დაამახინჯა მესამე თეოკრატიული საწყისი, - წინასწარმეტყველება გააცალკევა მღვდელმსახურებისაგან, მაგრამ ვერ შეძლო მსოფლიოსთვის ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა ჩუქება.

არანალები განაპირობა პროტესტანტობის უდიდესი წარმატება ქრისტიანული სამყაროს ორ უზენაეს ხელისუფალს შორის წინმსწრებმა განხეთქილებამ. საეკლესიო და სამეფო-სამხარო ძალა-უფლების სათანადო წინასწარმეტყველების მართებული ურთიერთგავლენის პირობებში შეუძლებელი გახდებოდა ესოდენ თვალსაჩინო მიზეზების და ხელსაყრელი საბაბის პოვნა ანტისაეკლესიო მოძრაობის დასაწყისსა და პროტესტანტობის გავრცელებისათვის. პროტესტანტობის ძალა დასავლეთის თეოკრატიული შენობის ნანგრევებზე აღმართა. ამ შენობის ტორტმანი კი ორი მთავარი თეოკრატიული ხელისუფლების არასწორ ურთიერთობებზე იყო დამოკიდებული, რასაც, თავის მხრივ, პირდაპირ განაპირობებდა საიმპერატორო აღმოსავლეთისა და პირველსადაც დავალებული დასავლეთის განყოფილება ურთიერთანაგონივრად. ერთიან იმპეროლ ხელისუფლებას - თეოკრატიული საქმის მთავარ იარაღს - დასავლეთის თავნება და თავდაჯერებული ხალხის ნიაღში ძალა სრულად აღარ გააჩნდა. ეს მოტორტმანი იმპერია კი პაპისთვის ერთგარი ხელჯოხი აღმოჩნდა, რაზე დაყრდნობაც, - როგორც ძველი წინასწარმეტყველი იტყვდა, - დასავლეთის სულიერმა ხელისუფალმა რომ მოინადინა, ხელჯოხიც გადაუტყდა და მკლავიც დაიზიანა. საქმი კი სულ სხვაგვარად წარმართებოდა, აღმოსავლეთის ურყევი კისრის ძალაუფლებას რომ დაყრდნობოდა, რომელიც, მართალია, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა, მაგრამ არასოდეს თმობდა (კარგადა) თავის სრულუფლებიანობას და ძლევა-მოსილებას აღმოსავლეთის ხალხთა პატრიარქალური ხასიათის წყალობით. ასეთ შემთხვევაში კი ერთი ძალას განო-

ნასწორებდა და შეავსებდა მეორე ძალა. აღმოსავლეთის მეფეები, კონსტანტინეს და თეოდოსის ანდერძს რომ ერთგულებდნენ, ეკლესიის მთავარ მსახურებდა და თავიანისმცემლებად - მის აშკარა გარეგნულ არქივებდა ითვლებოდნენ. და მაშინ, ანუ, თუკი არ იქნებოდა ეკლესიის განყოფილება, მართლმადიდებელი მეფის მფარველობის ძალით აღმოსავლეთის ეკლესიის იერარქია ავტორიტეტსაც განიმტკიცებდა თავის დასავლელ ღვთისმსახურთა ძალების თავმოყრით, ხოლო დასავლეთის იერარქიას დასავლეთის ქვეყნების ანტისაეკლესიო და ანტირელიგიურ ელემენტებთან მძიმე ბრძოლაში, ზურგს რომ გაუმავრებდა მთელი ღვთისმოსავი აღმოსავლეთი და თავადაც აღმოსავლეთის კისრის სამეგობრო ძალების გარეგან მხარეს განასახიერებდა ამ ბრძოლაში, არ დასჭირდებოდა საკუთარი მალალი სულიერი ავტორიტეტისათვის დამხმარე სახელმწიფო პოლიტიკის წერილობანი თვისებების მიმატება, და, ვიმეორებ, მაშინ ადგილი არ ექნებოდა ცალკეულ ბიროტმომქმედებათ, რასაც მეტ-ნაკლები სამართლიანობით საყვედურობენ კათოლიციზმის ისტორიულ მოღვაწეობას; არ გაჩნდებოდა ანგარიშ-გასანევი მიზეზიც ანტიქრისტიანული მოძრაობისათვის დასავლეთში და, თუკი ეს მოძრაობა მანაც დაიწყო (რამდენადაც ერესის არსებობაც სავარაუდო იყო), ის ვერ შეძლებდა რაიმე ამაღლებული პრინციპები და იდეალები მიეთვისებინა, ვერ შეძლებდა გეოგრაფიკული თვისის საზღვრები და მიეღწია იმგვარად მყარი წარმატებისათვის, რაც დღეს მის წილად მოდის.

ეკლესიათა განყოფილება, რითაც დაირღვა ქრისტიანული თეოკრატიის წარმომშობი ორი საწყისი - ღვთისმსახურებისა და მეფობის - წინასწარმეტყველება, ამავე დროს ხელს უწყობდა მესამე თეოკრატიული საწყისის - წინასწარმეტყველების კანონგარეშე წარმოშობას. თუმცა პროტესტანტობა მხოლოდ წინასწარმეტყველების უკანონო გამოვლენას როდი იყო, ის ამავე დროს ლათინურის წინააღმდეგ მიმართული გერმანული ნაციონალური სტიქიის რეაქციაც გახლდათ. ამ თვალსაზრისით კი პროტესტანტობის ასევე ნამდვილ, თუმცა საკმაოდ დაშორებულ მიზეზად ეკლესიათა განყოფილება იქცა, რომელმაც დააზიანა ქრისტიანობის უნივერსალური ხასიათი და ნაციონალური და ტომობრივი შუღლის გაღვივებას მოემსახურა.

გერმანულმა სამყარომ, თავის მხრივ, წამოაყენა საკუთარი განსხვავებული თეოკრატიული იდეა, რომელიც მტრულად დაუპირისპირა კათოლიკობის თეოკრატიულ იდეას. თავისუფალი წინასწარმეტყველური მსახურების დროშის ქვეშ დამდგარი პროტესტანტობა რამდენიმე ებრაელებსათან დაბრუნება აღმოჩნდა, თუმცა ამ თვალსაზრისით მათ შორის უზარმაზარი განსხვავებაც ჩანდა, თანაც ისეთი, ებრაელობის სასარგებლოდ რომ ლაპარაკობდა, რამეთუ, ჯერ ერთი, ებრაელი წინასწარმეტყველები, როგორც ვიცით, არ უპირისპირდებოდნენ კანონიერ მღვდელმსახურებას პროტესტანტების მსგავსად; და, მეორეც, ებრაელი წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ გამართლებას რწმენით და საქმეებით და არა მხოლოდ და მხოლოდ რწმენით. ისრაელის გაფანტვის შემდგომ, როცა წინასწარმეტყველთა მსახურება მასწავლებლობამ (რაბინიზმმა) შეცვალა, ებრაელობის ახალი თაობის წარმომადგენლებმა, რაბინებმა ამოცანად დაისახეს „კანონის ირგვლივ შემოვლელი გლავანი“, ანუ ყოველი მხრიდან უზრუნველყო კანონის დაცვა ცხოვრებაში. ეს პრაქტიკული ამოცანა გავრცელდა მთელ თალმუდურ ლიტერატურაში. პროტეს-

ტანტობაშიც, ოუდეველობის მსგავსად და უფრო სწრაფადაც, წინასწარმეტყველება შეიცვალა მასწავლებლობით (თუკი შეიძლება ლუთერსა და ცვინგლის ახალი ქადაგების წინასწარმეტყველნი დავარქვათ, ლუთერის სწავლული მეგობარი მელანქტონი უფრო მეტად პავეს რაბინს, ვიდრე წინასწარმეტყველს). ებრაული და პროტესტანტული მასწავლებლობის ამოსავალი წერტილი იყო ბიბლია; ორივეს წარმომადგენლები იყვნენ მნივნიბრები, თუმცა ორივეს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა თავის წიგნთან. ებრაელი რაბინები მასში უპირველესად ჭვრეტდნენ კანონს, ანუ ცხოვრების წესს და ძალ-ღონეს არ იმუხრებდნენ, რათა ეს ცხოვრების კანონი გაემყარებინათ თქმულებებისა და განმარტებების თვალმუდგამი გალაგნით. წმინდა წიგნისადმი ამგვარი დამოკიდებულება თვით ებრაელთა ეროვნული ხასიათიდან მომდინარეობდა; სულ სხვაგვარი იყო ბიბლიისადმი გერმანული ნაციონალური გენის დამოკიდებულება. გერმანულ-პროტესტანტული მასწავლებლობის თანახმად, ბიბლია არა იმდენად ცხოვრების წესად, რამდენადაც თეორიული შესწავლის საგნად იქნა გაზრებული. გადმოცემბა პრაქტიკულ დასაზღვრულობაზე ისინი ნაკლებად ზრუნავდნენ, სამაგიეროდ, დიდი ძალისხმევით ცდილობდნენ, უფლის სიტყვის არსიდან გამოერიცხათ ყოველგვარი ტრადიციული ელემენტი. ბიბლიის პროტესტანტული შესწავლა გადაიზარდა კრიტიკაში, ხოლო კრიტიკა - უარყოფაში. დღეს მონივრე პროტესტანტი მასწავლებლების თვალთახედვით ბიბლია უკვე აღარ არის რწმენის საყრდენი, მეტც - ის უარყოფითი კრიტიკის საგანია და, თუკი მანაც განაგრძობენ მისთვის გამორჩეული მნივნიბელობის მინიჭებას, მომეტებულად კი მის შესწავლას, მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულების ძალით. თავდაპირველად პროტესტანტული სამყაროს მეთაურობა წინასწარმეტყველებიდან მასწავლებლებზე გადავიდა, ახლა რელიგიური მასწავლებლობა, თავის მხრივ, ადგილს სასკოლო სწავლებას უთმობს, თანაც უპირატესად ანტიქრისტიანული მიმართულების სწავლებას. აქ უკვე კვალიც აღარ იღანდება იმ თავისებობის, თუმცა კი ყალბი თეოკრატიული იდეის, რომელიც პროტესტანტობის პირველი ბელადების შთამავლენებით ჩანდა. ბიბლიური ტექსტის ამჟამინდელ შემრყენლთ არაფერი აღარა აქვთ სათქმელი მსოფლიოსთვის, არც მისი სადმე წაყვანის თავი აქვთ. პროტესტანტობა პაპის და იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში იმთავითვე უწევდა ანგარიშს ადგილობრივ ხელისუფალთა წესას, რომელთა მიზანი იყო, უშუალო ზეგავლენა ჰქონოდათ მოსახლეობის ყოფაზე. დღეს კი, როცა რელიგიის წარმომადგენლები ბიბლიის ასოკრიკა და მმხსინველებითა სრული გავლენის ქვეშ მოექცნენ, ხალხის ცხოვრება მთლიანად საერო პოლიტიკას და კერძო ინტერესებს დაექვემდებარა და სამხედრო დესპოტიზმისა და პლუტოკრატიის ბატონობის საზღვრებში მერყეობს.

ქრისტიანული იდეის დაკნინება როდი შემოიფარგლა მხოლოდ გერმანული ქვეყნებით, სადაც გამარჯვებას ზეიმობდა პროტესტანტობა. თუმცა ლათინური თუ რომანულ ევროპაში რეფორმაციის რელიგიურ მოძრაობას წარმომადგენლები არ მოჰყოლია, მაგრამ ამ მოძრაობის პრაქტიკული შედეგი - საყოველთაო სეკულარიზაცია, ანუ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს - პოლიტიკისა და სახალხო მმართველობის, მეცნიერებისა და სკოლის, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოყოფა რელიგიისა და ეკლესიისაგან გავრცელდა მთელს ლათინურ ევროპაზე. რომანული

ქვეყნები და მათი მმართველი კლასები გერმანელთა მაგალითზე განუდგნენ თეოკრატიულ იდეას. ადვილი შესაძლებელი იყო, სრულად გადაგვეწურა იმედი ქრისტიანობის ბედის გამო, რომ არა მსოფლიო ისტორიის თავდარი იმედი თაყნული ახალი ნორჩი ძალები - სლავი ხალხები. რუსეთი და პოლონეთი - ეს ორი სლავური ქვეყანა - დღეს წარმოადგენენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსს, რომელიც ჯერ კიდევ არ განდგომია ქრისტიანული თეოკრატიის საფუძვლებს. პოლონეთის მოწინავე შვილები და უბრალო პოლონელი ხალხის მთელი მასა კვლავაც რჩებიან თავდადებულ კათოლიკეებად და გულმოდგინედ იცავენ რომის თეოკრატიულ იდეას. რუსეთის საუკეთესო შვილებიც და რუსი ხალხის მასაც რჩებიან აღმოსავლური მართლმადიდებლობის ერთგულ აღმსარებლებად და იცავენ ბიზანტიის თეოკრატიულ მემკვიდრეობას. ამ ორი რელიგიური ერის გარემოში, რომელთაგან თითოეულს საკუთარი, გამორჩეული თეოკრატიული იდეა აქვს, ისტორიამ შემოიყვანა მესამე რელიგიური ერი, ებრაელობა, თავადაც რომ წარმოადგენდა თეოკრატიულ აღმოსავლურ მომადგენელს. შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ შემთხვევითობად ზემოთ მოხმობილი ფაქტი, თუ ეს შინაგანი კავშირია სამი თეოკრატიული ერისა, რომელიც ერთსადაცმაც მათს სულიერ გაერთიანებას ეროს ყოვლისმომცველ თეოკრატიულ იდეაში, მიუხედავად დღემდე მათ შორის არსებული გამთიშველი ურთიერთმტრობისა? ამ საკითხის გადაწყვეტა იმაზე დამოკიდებულია, რა ურთიერთობას იქონიებენ ერთმანეთთან საქმის არსიდან გამომდინარე ის თეოკრატიული იდეები, რომელთა მატარებლებიც ვახლავთ ეს სამი ერი - გამორიცხავენ ან უარყოფენ ეს იდეები ერთმანეთს, თუ, პირიქით, შეუთავსებდებიან ურთიერთს?


ზოგადად, თეოკრატიის მიზანია რელიგიის დამკვიდრება (ანუ ღმერთის კავშირისა ადამიანთან) ერების ყოფაში. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია სამი პირობა: 1) რელიგიური საწყისის სრული დამოუკიდებლობა საზოგადოებაში, რადგან ამ საწყისში იყოს თავს მთელი საქმის არსი და მთავარი ინტერესი, და თუ საერთო ყოფაში რელიგიური ელემენტი მორჩილ ან დახლებვეთებულ მდგომარეობას იჭერს, თეოკრატია კარგავს ყოველგვარ მნივნიბელობას; 2) საზოგადოებრივი ორგანიზმის სწორი დანაწილება და მისი მართვის მტკიცე წესრიგი, რამეთუ ამის გარეშე რელიგიის თვალსაზრისით ცხოვრებაში თავისი გავლენის გასატარებლად და თეოკრატიული აზრით მის წარმართვას; 3) და ბოლოს, პიროვნულ ძალთა თავისუფალი და ენერგიული მოღვაწეობა, რადგან ასეთი ქმედება-მოღვაწეობის გარეშე საუკეთესო საზოგადოებრივი ორგანიზაცია კი უმაქნის ფორმად წარმოგიდგება.

ახლა დავაკვირდეთ ცხოვრების არსებულ წყობას რუსეთში, პოლონეთში და თანამედროვე ებრაელობაში - ეს უკანასკნელი ხომ ამ ორ ქვეყანაში არაან დამკვიდრებულნი - რათა დავინახოთ, აკმაყოფილებს თუ არა ეს ერები ჭეშმარიტი თეოკრატიის მითითებულ პირობებს, რომელთა ხორცშესხმისთვისაც არის მოწოდებული ყოველი მათგანი საკუთარი ეროვნული გენის და ისტორიული ხვედრის მიერ.

დავინყათ რუსეთში, მისი ცხოვრების წყობით საეკლესიო, სახელმწიფოებრივ და სოციალურ სფეროებში.

რუსული ყოფის ისტორიულად ჩამოყალიბებული წყობა შემდეგი მკა-

ფიო საზებით წარმოგიდგება: არქიული მღვდელმთავრის ტაძრით და მონასტერზე დამყარებული ეკლესიით; თვითმპყრობელ მეფეში განსახიერებული მთავრობით; და სოფლის თემების მინათმომქმედებაში დასაქმებული ერთი. მონასტრები, სასახლე და სოფელი - აი, ჩვენი საზოგადოებრივი საფუძვლები, რომელიც არ შეირყევა, ვიდრე რუსეთი არსებობს. ჩვენი ყოფითი წყობის ეს სტიქიონი შეიცავს (ფლობს) დიდ უპირატესობას, თუმცა ამასთან ერთად ვერ ახერხებს, გადაფაროს რამდენიმე მნივნიბელოვანი ნაკლებობებაც; მონასტერი იზიდავს, იფარავს და მოძღვრავს მორწმუნე სულს; მაგრამ არ ძალუძს აღნათოს, დაეხმაროს და დაიცვას რწმენა იქ, სადაც ის მოისუსტებს - საამისოდ მონაზვნისთვის ურვეულო და მუდმივი ქმედება საჭირო ერში; რუსული ეროვნული ხასიათის წყალობით ნაწილობრივ სახეცვლილი აღმოსავლური ასკეტიზმი უპირატესად მაინც მჭვრეტელობითა და აქედან გამომდინარე, მონადებელი ვერ არის საეკლესიო ხელისუფალთა და მოღვაწეთა მოსამზადებლად. ზოგადად რელიგიური ცხოვრებისათვის ასკეტიზმი აუცილებლობას წარმოადგენს; მაგრამ საეკლესიო მართვის თავისებური ვალდებულებები ასკეტიზმის სინდრის გვერდით ითხოვს განსაკუთრებულ ზნეობრივ და პრაქტიკულ თვისებებს. საჭიროა ურყევი სიმტკიცე და დაუღალავი მოღვაწეობა საერო წიგნსთან და ანტიეკლესიურ ძალებთან ბრძოლაში, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტი გაავრცელებით იარაღდებიან რელიგიის წინააღმდეგ; საქმე ისაა, რომ ეკლესია ვალდებულია, დაიცვას დედამიწაზე რწმენის სინდინდე, ამასთან, განუწყვეტილად ებრძოდოს ეკლესიის გარეშე მტრებს, განამტკიცოს, დაიფაროს, გააძლიეროს რელიგიური ცხოვრება. მაგრამ ვერც მონაზვნური ხასიათი და ვერც საეკლესიო მმართველობის სინოდური ფორმა ვერ უზრუნველყოფს ასეთი ქმედითი ბრძოლისთვის საჭირო პირობებს. ამისათვის სრულიად დამოუკიდებელი, ერთიანი და ენერგიული საეკლესიო ხელისუფლება საჭირო. სულიერი ხელისუფლების დაქვემდებარება საეროზე და საკუთარი ცენტრის უქონლობა ეკლესიის გარეშე ღვანას აფერხებს და აზიანებს მის გავლენას ერისა და საზოგადოების ყოფაზე. რუსული ეკლესია ღვთის წყალობით გარემოსილია თვითმპყრობელი და, შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოების უღმერთო სტიქიებისაგან დამოუკიდებელი მართლმადიდებელი მეფის მფარველობით. მაგრამ ამ უარყოფითი პირობის გარდა, რაც აშკარაა, ანუ სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური შეზღუდულობის გარდა, საღვთო საქმის წარმატებული მსახურებისათვის საგადადებულა კიდევ ერთი გამოკვეთილი პირობაც: ქრისტიანული სახელმწიფოს ხელისუფლება უნდა ხელმძღვანელობდეს დამოუკიდებელი სასულიერო ავტორიტეტის, როგორც ამქვეყნად ქრისტეს ეკლესიის პირდაპირი წარმომადგენლის, მითითებით; ამისათვის საჭიროა სასულიერო ხელისუფლება, საზოგადოებაში რელიგიურ ელემენტს რომ განასახიერებს, ფლობდეს სრულ დამოუკიდებლობას. სრულად დამოუკიდებელ წარმომადგენლობითობას მოკლებული ეკლესია ვერ იქონიებს ქმედით ზეგავლენას ვერც ხელისუფლებზე და ვერც საზოგადოებაზე. და აი, ვხედავთ, რომ, მიუხედავად რუსი ხალხის ღვთისმოსაობისა, მიუხედავად ჩვენს ხელისუფალთა მართლმადიდებლობისადმი ერთგულებისა, მიუხედავად ჩვენს სასულიერო მოღვაწეთა არაერთი შესანიშნავი თვისებისა, ეკლესია ჩვენში მოკლებულია მისთვის შესაფერ მნივნილობას და ვერ ხელმძღვანელობს რუსეთის ცხოვრებას. ჩვენი ხალხი ყველაზე მაღლა უფლის სიტყვას აყენებს, სულის სიღრმეში იგი თეოკრატიულია, მაგრამ მოკლებულია თეოკრატიის ხორცშესხმისათვის პირველ რეალურ პირობას ჩვენი საეკლესიო წყობის უმთავრესი ნაკლოვანების გამო.



პირველი გვირგვინი

ზოგადობისთვის. ამისთვის შეცვლილია ეპიზოდები და, რაც მთავარია, ფინალი ოპტიმისტურია: მარგო საკუთარ თავში იმდენ ძალას პოულობს, რომ ჯაყო მოკლას და თქვას: „ასე იცის მარგომა...“

სპექტაკლის დასაწყისში დეკორაციად ვხვდებით ღვთისმშობლის ხატს; ხატს რომ შემოაბრუნებენ, გამოჩნდება ლოგინი, რომელზედაც წითელ ქსოვილგადაფარებული მარგოა. ეს გახლავთ სულიერებისა და უზენოების, რწმენისა და ბოროტი ძალის ტიპიკური მეთაფორა, რაც, აგრეთვე, ჯაყოს ნათესავების გამოხატულებაცაა (საბრძოლო მზადყოფნაში რომ არიან), რომლებიც ჯაყოს ადრე თეიმურაზ ხევისთავთან არ უხსენებია. დასაწყისიდანვე ვხვდებით პირბადით, ოსური ტანსაცმლით მოძრავ ჯგუფს, რომელიც გმირთა გარშემო ტრილებს, უთვალთვლებს და თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ აძლევს. მათვე შემოაქვთ ორი აკვანი, როგორც სიმბოლო გადამთიელთა სამომავლო მომრავლებისა, ხოლო მარგოს აკვანთან ჩაჯდომა შთამომავლობის გაგრძელების სურვილის მიმანიშნებელია, რასაც განხორციელება არ უნერია და ამიტომაც ზემოთ ხსენებულ ჯგუფს სწრაფად გააქვს. ამავე დროს, ეს ჯგუფი (ნ. ვადაჭკორია, გ. კობახიძე, ა. მელაძე, ნ. მესტურშიძე, ნ. ჩხიკვიშვილი, გ. ელიჯარაშვილი, ნ. გოგიძე) ძარცვავს თეიმურაზის სახლ-კარს, ხალიჩას აფარებენ ღვთისმშობლის ხატს, იტაცებენ ნივთებს, სკამიდან მოურიდებლად აგდებენ თეიმურაზს, რითაც ქვეყნის ძარცვისა და ბნელი ძალის შემოსევის ილუზიაც იქმნება.

სცენის ერთ მხარეს საფრთხობელა დგას, რომელსაც, აბჯარასხმულს, ხელში ხმელი და ფარი უჭირავს, თავზე პირში ჩალაგამოვლებული თოჯინას სახე ადგას. ეს სიმბოლოვანი გამოხატავს გმირული საქართველოს დაცემას უსიყვარულო თოჯინამდე, რომელსაც წითელ ქსოვილს ჩამოაფარებენ, რაც ქვეყნის განთილებასა და სისხლისგან დაცვას გამოხატავს. მას ჯვრის ფორმაც აქვს, რომელსაც „ოსები“ წითელ ნაჭერს ჩამოაფარებენ – ჯვარს წითელი დროშა, ხოლო საქართველოს სისხლი ჩამოეფარა. ბოლოს კი მარგო ამ წითელ ნაჭერს ჩამოგლეჯს, რაც გათავისუფლებაზე მიგვანიშნებს. სცენის მეორე მხარეს მრგვალი მაგიდა და ორი სკამი სალონის გარემოს ქმნის, სადაც თეთრ კაბებში გამოწყობილი ჭორიკანა ქალები შექმნილი რეალობას ვერ აღიქვამენ და წარმოსახვითი რამყაროთი ცხოვრობენ. ამ ორი გარემოს დაპირისპირებით შექმნილი ვითარების უფრო გამძაფრება ხდება, როდესაც ადამიანებს მოქმედების ნაცვლად მხოლოდ არაფრის მოძიებში ლაპარაკი შეუძლიათ. სცენის სიღრმეში, კედელზე ჩალაა აყუდებული, ხოლო თავად სცენა თივითაა დაფარული, რაც ბოსლის შთაბეჭდილებას ტოვებს (სცენოგრაფი ლ. მურუსიძე, კოსტიუმების მხატვარი ქ. ციციშვილი). ასეთ სისხლიან და ბინძურ გარემოში ვითარდება გმირთა წინააღმდეგობრივი ხასიათები.

სპექტაკლში საინტერესო მხატვრული სახეები შეიქმნა, რომლებიც რეჟისორული გადაწყვეტიდან გამომდინარეობენ და დადგმის სათქმელი აზრი მოაქვთ მაყურებელამდე. თეიმურაზ ხევისთავი რევან გიორგობიანის შესრულებით გარეგნული პასიურობითა და შინაგანი დაძაბულობით გადმოსცემს გმირის სახეს. იგი დანაღვლიანებულია, რომ ახალმა ხელისუფლებამ სამსახურიდან დაითხოვა, ვერ დაინახა მისი ინტელექტი. იგი თავის პრინციპებს არ ღალატობს, არ უჯერებს მარგოს, გამოაცხადოს ლოიალობა და კომუნისტებს ემსახუროს. თეიმურაზი საკუთარ თავს ებრძვის, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს და ჯაყოს მიენდობა. თეიმურაზი ამჩნევს მის გარშემო არსებულ ვითარებას,



ჯაყოს მიერ მოპარული ნივთების დაბრუნება სურს, მაგრამ საყვედურის თქმაც არ შეუძლია, შინაგან პროტესტს გამოხატავს, მაგრამ კონკრეტული ქმედება არ შეუძლია. მხოლოდ ერთხელ გადაწყვეტს ჯაყოსთვის სამაგიეროს გადახდას, ნაჯახით ცდილობს მის მოკლას, მაგრამ მაშინაც ვერ უშკლავდება მას. მსახიობი ამ შინაგან წინააღმდეგობებს, ფიქრს ქვეყნის წარმოსახვით მომავალზე საინტერესოდ გვიჩვენებს.

სპექტაკლში სხვაგვარად არის გადაწყვეტილი მარგოს სახე. მას ორი მსახიობი განასახიერებს – ახალგაზრდა მარგო (თ. კობალაძე) და მოწიფული ასაკის მარგო (ლ. მახნიაშვილი). ისინი განასახიერებენ ქალური და ფსიქოლოგიური ასპექტების წინააღმდეგობრიობას, რომლებიც თავს სხვადასხვა ეპიზოდებში იჩენენ. თ. კობალაძის მარგო თავმოყვარე, ღირსებით აღსავსე ადამიანია, რომელიც არ ენდობა ჯაყოს და თეიმურაზს აფრთხილებს, მასთან ურთიერთობა საშიშია. იგი ცდილობს, შეუღლებს მას არ გაუცხოვდეს და ცალკე, გაჭირვებული ცხოვრება ურჩევნია ჯაყოს ხიზნობას. მსახიობ ლ. მახნიაშვილის მარგო კი შეგნებულად მიდის ჯაყოსთან ურთიერთობაზე, რადგან სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავს. მოჩვენებითი სიყვარულის საფარქვეშ თავს დამცირებულად გრძნობს და მასში თანდათან მნიშვნელობა ის პროტესტი, რამაც ჯაყოს მოკვლა გადაწყვეტინა. მისი სიტყვები: „ასე იცის მარგომა“, ერთი მხრივ შურისძიებისა და თავმოყვარეობის დაკმაყოფილების გამოხატულებაა, მეორე მხრივ, ჯაყოს ჩანაფიქრის შეწყვეტაზე მიგვანიშნებს, რასაც ჯაყოს სამყაროს განადგურება უნდა მოჰყვეს.

მსახიობ რ. ხომასურიძის ჯაყო მხოლოდ მარგოზე მოძალადე და თეიმურაზის ქონების ხელში ჩამგდება არ არის. იგი, პირველ რიგში, თავისი ტომის ხალხით თავისი გარემოცვის შექმნას ცდილობს. ამიტომაც ყურადღებას მინიჭებს შესყიდვებზე ამახვილებს და ქართველ თანასოფელებს ხევისთავისა და სხვების მინების დაპატრონებაზე ურიგდება. ამას განამტკიცებს თეიმურაზის წერილში მარგოს მიერ ამოკითხული სიტყვები: „აქ სხვა ხალხი იკიდებს ფეხს...“ მსახიობი წარმოაჩენს თეიმურაზისადმი თითქმის მორჩილი, მატყუარა მოურავიდან საკუთარ ძალში დარწმუნებული, დამპყრობლური, მოძალადე სულისკვეთებითა და სოციალურად საშიშ ადამიანამდე. გარკვეულ მომენტში იგი ლოგინზე ასვლისას მაიმუხვსაც ემსგავსება და მგელსაც, როდესაც მარგოს მხარზე მოიგდება და მარგოს მიერ თეიმურაზზე უარის თქმისას საბოლოოდ ეპატრონება. მსახიობი წარმოაჩენს ქურდ, მატყუარა, მოძალადე, ძალაუფლების ხელში ჩამგდება პერსონაჟს, რომელსაც ზურგს უმაგრებს თანამომძიეთა ბნელი, დაუნდობელი, ყველაფერზე წამსვლელი გჯუფი. ეს ის ძალაა, რომელმაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ამ მიწა-წყლის უკანონოდ დაპატრონება შეძლო და რომლის საფუძველიც ჯაყოსწინააღმდეგობაა

გაჭრეს – ასეთია რეჟისორის სათქმელი თანამედროვე საზოგადოებისთვის.

ჯაყოს უკანონობის უნებლიე ხელშემწყობნი არიან პატრიოტულად განწყობილი ნინიკა (მ. პავლიაშვილი) და მღვდელი ივანე (ვ. ციცილოშვილი), რომელთა სიჩუმითა და უმოქმედობით ჯაყო სანადგურს აღწევს. ნინიკა გულანთებული პატრიოტია, რომელიც ჩოხაში გამოწყობილი ლოცულობს ფიტულად ქცეულ წინაპართა სახსოვარზე (საქართველოს სიმბოლო), ბოლოს კი გადამთიელებს მის წაღებას არ ანებებს – მაგას ასე იოლად ვერ წაიღებო, რასაც ეწირება კიდევაც. მღვდელი ივანე კი ფაქტობრივად უყურებს ყოველივეს. მართალია, იგი შინაგანად განიცდის არსებულ ვითარებას, მაგრამ მდგომარეობის შეცვლის ძალა არ შენსევს. მსახიობი ვ. ციცილოშვილი ამ სულიერ დრამას სახიერად გადმოსცემს, ლოცულობს და ღმერთის შეწვევის იმედს არის, შეფარვით ურჩევს თეიმურაზს მარგოსთან გაყრას, გადაკურით მიანიშნებს ცოლის ღალატზე, ხელს უშლის თეიმურაზის თვითმკვლელობას, მაგრამ ამავე დროს აქვს ჯაყოს მოკვლის კენ. სამწუხაროდ, ორივე ეროვნული ინტერესების მატარებელი ქართველი მხოლოდ აღმფრთხილებით ლაპარაკობს ჯაყოს ავკაცობაზე – ისინი ხედავენ შემოპარულ მტრულ ძალას, მაგრამ რეალურად ვერაფერს აკეთებენ. ორივე მსახიობს კარგად მოაქვს რეჟისორის ასეთი ჩანაფიქრი.

სპექტაკლში დროდადრო გამოჩნდება ჯაყოს ცოლი ნინა, რომელიც სულ ორსულადაა და ორივე ხელში ჩვილები უჭირავს. იგი ხედავს, რა ჩაიფიქრა ჯაყომ მარგოსთან მიმართებით, მაგრამ ხმას ვერ იღებს, რადგან იმნუთივე ქმრისგან ფიზიკურ შეურაცხყოფას იღებს. მსახიობი დ. დოიჯაშვილი გადმოსცემს ამ უსიტყვო მორჩილებასა და, ამავე დროს, შინაგან პროტესტს, თუმცა ამაყობს შთამომავლობის გამრავლებით და მათი ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრებით.

რეჟისორი გ. კაპანაძე ხევისთავისა და ჯაყოს სამყაროს ქადაგური სალონის წარმომადგენლებს უპირისპირებს. თეთრ კაბებში გამოწყობილი ქეთევანი (ა. ხურციძე), ელისაბედი (თ. გოგიძე) და თეკლა (მ. ტეხური) სრულიად მოწყვეტილი არიან რეალობას. მსახიობებში ჩანს ირონია, რომანტიკული განწყობა, არისტოკრატიული ქედმაღლობა და ამპარტავნობა. ისინი პოლიტიკურ ანეკდოტებს ყვებიან, მარგოს საქციელს გმობენ, თეიმურაზს კიცხავენ, მაგრამ საკუთარ ფუნქციას ვერ ხედავენ. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც სულ რაღაცის მოლოდინშია, ვიღაცის იმედს აქვს, მაგრამ საკუთარი კონკრეტული პასუხისმგებლობა თუ პიროვნული დანიშნულება ვერ გაურკვევიათ.

რეჟისორ გოჩა კაპანაძის სპექტაკლს მხატვრულ ღირსებებთან ერთად საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. დღევანდელი პრობლემების მწვავე აღქმა ისტორიულად დაშვებული შეცდომებიდან მომდინარეობს. ამიტომაც გამოკვეთილად შექმნა რეჟისორმა ჯაყოს მოძალადე ჯგუფი, რომელიც ქართველთა მიწა-წყალს ჩუმად, უმტკივნეულოდ ეპატრონება. ამ განწყობას ამძაფრებს ოსური მელიდიაც (ს. თედიაშვილი, დ. დოიჯაშვილი). რეჟისორი ამის სათავეს თეიმურაზის, მარგოს, ნინიკასა და მღვდელ ივანეს უმოქმედობაში (ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის წარმომადგენელთა), უპრინციპობასა და ეროვნული ინტერესების დამთმობაში ხედავს, გამოსავალი კი აქტიური ქმედებაა, შეცვლილი ფინალის – მარგოს შურისძიების სახით. ამიტომ მაყურებელი სპექტაკლის რეჟისორული სათქმელი დაფიქრებული და მსახიობთა თამაშით აღფრთოვანებული ტოვებს დარბაზს, მაგრამ ვისი და რა იმედით? სწორედ ასეთი აქტიულობის გამო აირჩია რეჟისორმა ეს ექვსი წლის წინათ დადგმული სპექტაკლი ახალ სივრცეში საპრემიეროდ.

ლიტერატურულმა პრემიამ  
„საბამ“ დაასახელა 2021 წლის ფინალისტები

- წლის საუკეთესო რომანი
1. თამთა მელაშვილი, „შაშვი შაშვი მაყვალი“ (სულაკაურის გამომცემლობა)
  2. ეკატერინე ტოგონიძე, „შინ – შენ“ (სულაკაურის გამომცემლობა)
  3. ივა ფეშთაშვილი, „ბუნკერი“ („ინტელექტი“)
  4. შოთა იათაშვილი, „დამწყები“ („პალიტრა L“)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
1. ნუგზარ ზაზანაშვილი, „ნავა ნავა ნავა“ („ინტელექტი“)
  2. თეა თოფურია, „რატომ არ ხვდებიან ძაღლები სამოთხეში?“ (saba.com.ge)
  3. ბესიკ ხარანაული, „ეპ, ბესარიონ“ („ინტელექტი“)
  4. ეკა ქვენიშვილი, „ღარიბების ტრანსპორტი არსად ჩერდება“ („ინტელექტი“)
  5. ნათია გიორგაძე, „ხმის მატარებელი“ („ინტელექტი“)
  6. ბელა ჩეკურიშვილი, „ნანას ცხენი“ („ინტელექტი“)
- წლის საუკეთესო პროზაული კრებული
1. რუსუდან რუხაძე, „სიყვარულის წონა“ („ინტელექტი“)
  2. გიორგი სოსიაშვილი, ოთხი მოთხრობა (გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა)
  3. ალექო შულაძე, „ლაბირინთი მანუელისთვის“ („პალიტრა L“)
- წლის საუკეთესო პიესა
1. ლაშა ბულაძე, „ანტიმედია“ („არტანუჯი“)
  2. პაატა ციკლია, „მედეას 01e06“ (saba.com.ge)
- წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა
1. ნანა ტრაპაიძე, „ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ“ (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)
  2. ნინო დიანოსაშვილი, „შეშლილი სიმბაღე თუ შმაგი შემოღობა?!“ ლისამანია ევრიპიდეს ტრაგედიაში: „ბაკეი ქალები“, „პერაკლე“, „ორესტესი“ („ლოგოსი“)
  3. გიორგი კაკაბაძე, „რისი თქმაც მინდა“ („პედაგოგი“)
  4. ლევან ბრეგაძე, „პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში“ („არტანუჯი“)
- წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი
1. ირინე ტაბაღუა, „ტელეფას ცხვირი“ („ინტელექტი“)
  2. ნანა აბულაძე, „აკუმი“ („ინტელექტი“)
  3. კახაბერ მელითაური, „მოგზაურობა ნამცვეებს შორის“ (წოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო)
  4. ნიკოლოზ ცისკარიშვილი, „ცეცხლისნამკიდებელი“ („პალიტრა L“)
  5. ნათია აბრამიშვილი, თარგმანი პრიმო ლევის ნიგნისა „პერიოდული სისტემა“ („დოიჯენი“)
- წლის საუკეთესო ესეისტიკა და ლოკუმენტური პროზა
1. არჩილ ქიქოძე, „ნორვეგიული დღიური“ (სულაკაურის გამომცემლობა)
  2. ბიძინა მაყაშვილი, „მზიარული მუსიკა სევდიან ეპოქაში ანუ ბლუზი მტკვრის პირას“ (სულაკაურის გამომცემლობა)
  3. მარიამ ხუცურაული, „მარილი გემოვნებით“ („პალიტრა L“)
  4. გივი ხორნაული, „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ („მნიგნობარი“)
  5. გიორგი ლობუანიძე, „ჩემი ფანჯრებიდან“ („არტანუჯი“)
  6. გელა ჩარკვიანი, „ENGLISH“ – როგორ ვისწავლე და როგორ ვასწავლიდი“ („არტანუჯი“)
  7. ხასო ხანგოშვილი, „ქისტები (100 ამბავი)“ („არტანუჯი“)

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**  
 მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრაველი**  
 ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დევიტაშვილი**  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბალა გველსიანი, გიგია ბარბაქაძე**  
 დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვილდემარ პანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:  
 საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: [litsaqartvelo@yahoo.com](mailto:litsaqartvelo@yahoo.com)

დაბეჭდილია შპს „საარი“ სტამბაში  
 მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

**გაგონის  
 კარასკეობით**

ISSN 1987-9806  
 9177198798005